# საქართველო

ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს

№41 (1551) 1–3 მაისი, 1997 წელი


## ღრეობა
## „წითელ პარასკევს"?!

დიახ, დიახ, სწორედ რომ ქრისტეს ჯვარცმის დღეს – „წითელ პარასკევს" გადიან რუისელები სალოცავზე და ეძლევიან ღრეობას!..

არადა, დღემდე გვეგონა, რომ მართლმადიდებლურ აღმსარებლობას მთელი საქართველო ერთნაირად ასრულებდა, იმის მიუხედავად, თუ ვინ რა დონის მორწმუნე იყო!..

ვცდებოდით თურმე. თანაც, ძალიან. ამ, მართლაცდა, ერთ მუჭა საქართველოში რატომ უნდა ჭირდეს ქრისტიანული რიტუალების ერთნაირად აღსრულება?!

საპატრიარქო (სიტყვით მაინც!) კი იბრძვის ჩვენში ეგზომ მომძლავრებული ნაირ-ნაირი სექტის წინააღმდეგ, მაგრამ, ჩვენი შეხედულებით, ნაკლებეფექტურად. ან კი რანაირად შეიძლება ეფექტურად ებრძოლო, ვთქვათ, იგივე იელოველთა სექტას, როდესაც ბოლომდე, ლამის ჩვიდმეტი საუკუნის შემდეგაც, კერპთაყვანისმცემლობის გადმონაშთები ვერ დაგვიძლევია?!

შორს წასვლა არაა საჭირო. როგორც აღვნიშნეთ, აგერ, რუისში, მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულს მართლმადიდებელი ეკლესიის დოგმატიკის აბსოლუტური უგულვებელყოფით ზეიმობენ!.. (რუისი, რასაკვირველია, მაგალითად მოვიშველიეთ, თორემ მსგავსი რამ სხვაგანაც ბევრგან ხდება!).

რაც განსაკუთრებით პარადოქსულია (აჯობებდა, „მკრეხელური" გვეთქვა!), საკუთარი მიცვალებულის საფლავზე აღდგომის მეორე დღეს კი არ გადიან

3

## უხელფასო პოლიციელები გახდებიან ყაჩაღები...

2

## ორ გროშად გაყიდული ქვეყანა...

3

## წავიდა ცუდი რუსი, მოვიდა უარესი...

გუშინ პრეზიდენტის პრეს-მდივანმა ვ.აბაშიძემ ბრიფინგი გამართა, რომელზეც ჟურნალისტებს მიაწოდა ინფორმაცია საქართველოს პრეზიდენტთან გამართული შეხვედრების თაობაზე.

საქართველოს შეიარაღებული ძალების დღესთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტმა მიიღო თავდაცვის სამინისტროს კოლეგიის წევრები, ვ.ნადიბაიძის ხელმძღვანელობით. ვ.ნადიბაიძემ პრეზიდენტს მოახსენა, რომ საქართველოში უკვე შექმნილია პროფესიული არმია. მისივე თქმით, მოგვარებულია წვევამდელთა გაწვევის პროცესი. დღეისათვის გაწვეულია წვევამდელთა 25%. დარეგულირებულია გაწვევის პრობლემა არა მარტო თბილისში, არამედ საქართველოს სხვა რეგიონებშიც. არმია დაკომპლექტებულია 87–90%-ით, რაც ნებისმიერ შემთხვევაში მაღალი მაჩვენებელია.

ვ.აბაშიძის განცხადებით, უწინდებურად მწვავედ დგას საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების საკითხი. კერძოდ, საქართველოს შავი ზღვის ფლოტის კუთვნილი წილის მიღების თაობაზე, რაც არაერთხელ დასვა საქართველოს მთავრობამ რუსეთის წინაშე. პრეს-მდივნის თქმით, საქართვე-

2

## მოსკოვი – მკვლელობათა დედაქალაქი

„ეს სახარბიელო წინადადება უნდა იყოს" – წერდა ოლეგ ზუკოვი თავის დისწულს. „ერთ-ერთ სერიოზულ ფირმას" სურს იქირაოს შენობა ოფისისათვის. მყიდველი „შემოსავლიან ადგილს" ჰპირდება მას. „სიმპათიური მანდილოსანი" მის დარჩენილ დღეებს მასზე ზრუნვაში გაატარებს. სიხარულით მოაწერა ხელი კონტრაქტს ნახევრად პარალიზებულმა მამაკაცმა. 4 დღის შემდეგ კი მისი გვამი მდინარე მოსკვადან ამოიღეს. ზურგში ორი ტყვია ჰქონდა მოხვედრილი. აღდგენითი სამუშაოები კი დაიწყო მის ყოფილ სახლში. დამქირავებელ ფირმას საუკეთესო კონტაქტები აქვს ქალაქის თვითმმართველობასთან. მისი პრეზიდენტი კი ქალაქის მერის – იური ლუჟკოვის მეგობარია. ბევრი მათგანი, ვინც ამ ფირმას სახლი დაუთმო, უშუალოდ ამის შემდგომ საიდუმლო ვითარებაში დაიღუპნენ ან სულაც უკვალოდ გაჰქრნენ.

ტოლიას „დაცვის სამსახურიც" კარგი რეპუტაციით სარგებლობს. დიდი ბანკებიდან დაწყებული სოსისის ბარებით დამთავრებული მისი კლიენტებია. ნუვორიშების საყვარელი წითელი მოედნიდან რამოდენიმე კილომეტრის დაშორებით არის ფირმის რეზიდენცია. აქ, მეორე სართულზე, 120 კილოიანი ავღანეთის ვეტერანი უზარმაზარ საწერ მაგიდასთან ზის, სადაც 4 ტელეფონია. კლიენტთათვის სხვადასხვაგვარი ტარიფებია დანიშნული: საერთაშორისო საწარმოები უფრო მეტს იხდიან, ვიდრე უსაფრთხოების დაცვა ეღირებოდა სინამდვილეში; და ამიტომ შესაბამისად ღებულობენ საფინანსო განყოფილების გამოწერილ ბეჭედდასმულ ანგარიშს. რუსული ფირმებისათვის კი ტარიფი ერთია: გასაღებული საქონლის 20%. ვინც წინადადებაზე უარს იტყვის, დიდი უსიამოვნებები ელის: ფირმის მანქანებს უკვალოდ აქრობენ ან აფეთქებენ, ანონიმური სატელეფონო ზარები ახლობელ ნათესავთა „მოულოდნელ სიკვდილს" აცნობებენ. ოფისის წინ აფეთქებული ნაღმი გაფრთხილებაა: შემდეგი უკვე სასიკვდილო იქნება.

კაპიტალისტური წყობის ფორმირების ციებ-ცხელებამ მოსკოვი სწრაფი ფულის მსოფლიო მეტროპოლიად, მაგრამ ამასთანავე ორგანიზებული დანაშაულის დედაქალაქა-

8





## მამულო, თვალისჩინო, შენს გენერლებს ემატებათ ჩინი...

გუშინ, 30 აპრილს, საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა ჩამოყალიბების 6 წლისთავი აღნიშნეს. ამ ყოველმხრივ სასიხარულო ამბავს მიეძღვნა საზეიმო სხდომა, რომელიც ოფიცერთა სახლში შედგა. ოფიცერთა სიხარულს საზღვარი არ უჩანდა. როგორც ყველა სამხედრო დღესასწაულს, არც ამ იუბილეს დაჰკლებია პომპეზურობა – სასულე ორკესტრი და საგანგებოდ გაწვრთნილი საალუმო ნაწილები, რაც დამსახურებულად ეხამებოდა და ალამაზებდა მე-6 წლისთავზე საზეიმოდ შეკრებილ სასახელო მიღწევა-გამარჯვებებით დახუნძლულ ქართული ჯარის ელიტას. ბატონ ვარდიკოს დიდი მიღწევები მოუწონა და

3

## კომუნისტები აღშფოთებულნი არიან იმ ფაქტით, რომ ლენინის დამარხვას აპირებენ

მოსკოვში გამართული კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო შეხვედრის მონაწილეებმა გააკეთეს განცხადება ლენინის დამარხვის „პროვოკაციულ კამპანიასთან" დაკავშირებით. განცხადებაში ნათქვამია, რომ რუსეთის ხელისუფალთა მსგავსი განზრახვა ამორალურია და მათს სულიერ სიღატაკეზე მეტყველებს, – იუწყება საქართველოს ერთიანი კომპარტიის პრესცენტრი. (ბი ჯი აი)

## ორი პატიმარი დაიჭირეს გაქცევის მცდელობისას

ეს მოხდა 28 აპრილს ღამის 23.00 საათზე. ორი პატიმარი მამუკა სოფრომაძე და გაბრიელ მეჩითოვი გვირაბს თხრიდნენ ავჭალის მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიის მექვსე და მეშვიდე საგუშაგოებს შორის. საქართველოს შსს პრეს-ცენტრის ცნობით, დაცვამ გვირაბი აღმოაჩინა და გაქცევის მცდელობა აღკვეთა. (ბი ჯი აი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნავიდა ცუდი რუსი, მოვიდა უარესი...

პირველი გვერდიდან

ლო თხულობს არა მოწყალებას, არამედ იმას, რაც კანონით ეკუთვნის. საუბარია ფოთში განლაგებულ საზღვაო-სამხედრო ტექნიკაზე. მიუხედავად საქართველოს მთავრობის არაერთგზის მოთხოვნისა, რუსეთის მთავრობას ამ ფაქტზე დღემდე არ მოუხდენია რეაგირება.

პრეს-მდივანმა ჟურნალისტებს ინფორმაცია მიაწოდა სტამბულში გამართულ ბიზნეს-კონფერენციის „ახალი შესაძლებლობები შავი ზღვის რეგიონში" შესახებ, რომლის მუშაობაშიც რეგიონის ქვეყნების მეთაურების გარდა მონაწილეობას ღებულობდა 400-ზე მეტი ბიზნესმენი. ბიზნეს-კონფერენციის მთავარი მიზანი იყო ევროაზიური დერეფნისა და შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებთან ხმელთაშუა ზღვის და ცენტრალური აზიის ქვეყნების მიერთება.

შეეხო რა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების სარდლის დ.ბაბენკოვის საკითხს, პრეს-მდივანმა განაცხადა, რომ საქართველოს ხელმძღვანელობას სერიოზული პრეტენზიები გააჩნია მის მიმართ. „ეხლანდელ სიტუაციაში იაკუშევი საოცნებო გაგვიხდა. იგი ენგურჰესის უსაფრთხოებას მაინც უზრუნველყოფდა. დ.ბაბენკოვი კი ჯერ მხოლოდ ლაპარაკობს". ვ.ბაშიძის აზრით, 31 ივლისს იწურება სამშვიდობო ძალების მანდატი და თუ ისინი დატოვებენ კონფლიქტის ზონას, მაშინ საქართველო დამოუკიდებლად გადაწყვეტს თავის პრობლემებს, მითუმეტეს, რომ საკუთარი ტერიტორიის კონტროლის ძალა მას შესწევს.

რაც შეეხება არძინბას ხელისუფლებაში საკადრო ცვლილებებს, პრეს-მდივნის შეფასებით, ეს არის შიდა მდგომარეობის გამოსწორების მცდელობა და არა პროქართული ორიენტაციის მანიშნებელი. (იფრინდა)

### თბილისი უკმაყოფილოა სამშვიდობო ძალების მეთაურ დოლია ბაბენკოვით

საქართველოს ხელისუფლება აპირებს დააყენოს საკითხი აფხაზეთში სამშვიდობო ძალების მეთაურ დოლია ბაბენკოვის ვადამდელი გადაყენების შესახებ. ამის შესახებ ნათქვამია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გაკეთებულ განცხადებაში. საქართველოს ხელისუფლება განაცვიფრა გენერლის მიერ ქართული მხარის მისამართით წაყენებულმა ბრალდებებმა იმის თაობაზე, რომ ის არაფერს აკეთებს მოსკოვის სამიტის გადაწყვეტილებების რეალიზებისათვის. ამ დროს, თავად რუსეთის სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობამ არ შეასრულა ბრძანება, რომლის თანახმადაც, ერთი თვის განმავლობაში უნდა შეემუშავებინა სამშვიდობო აქციების გაფართოების გეგმა. (ბი ჯი აი)

# ვინ ვინ არის?

მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისათვის

# კახა თარგამაძე: უხელფასო პოლიციელები გახდებიან ყაჩაღები...

*საუბრობენ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი*
***კახა თარგამაძე***
*და გაზეთ „საქართველოს" მთავარი რედაქტორი*
***ნოდარ გრიგალაშვილი***

**ნ.გ.** – *ბ-ნო კახა, ჩვენ ძირითადად იმ მნიშვნელოვან საკითხებზე ვლაპარაკობთ, რომლისადმი მთელი ერის ყურადღებაა მიქცეული და ნაკლები ყურადღება დავუთმეთ ერთი შეხედვით უმნიშვნელო საკითხებს, რომელნიც პრინციპში ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ცხოვრებისათვის.*

*მაგალითად, მკითხველები მთხოვენ, რომ გკითხოთ შემდეგი. იყო ყაჩაღობის, ძარცვის ეპოქა, ღვთის მადლით, მნიშვნელოვნად შემცირდა ამ უბედურებათა მასშტაბები, მაგრამ დღეს მეტროებში, ტროლეიბუსებში არნახულად მომრავლდა ჯიბის ქურდობა. ადამიანები არიან შეწუხებულნი, შეშფოთებულნი და არ დაგიმალავთ, ეჭვი აქვთ, რომ ეს ჯიბის ქურდები, ეს „პაცნები", როგორც იტყვიან, მეტროების ადგილობრივ პოლიციელებთან წილში არიან. კიდევ ვიმეორებ, ძალიან მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით ძალისხმევა ერთია, მაგრამ ამ საქმესაც, ალბათ, რაღაცა უნდა ეშველოს.*

**კ.თ.**– ძალისხმევა უნდა იყოს ყველა საკითხთან დაკავშირებით, რაც დანაშაულს ეხება. მართლაც ბევრია ჯიბის ქურდები და სხვა დანაშაულიც მრავალია საკმაოდ, საუბედუროდ, მთლიანად არ აღმოფხვრილა დანაშაულებები, მაგრამ არც ერთ ქვეყანაში არ აღმოფხვრილა ეს და ვერც ერთმა ქვეყანამ ვერ მიაღწია იმას, რომ მთლიანად აღმოფხვრილიყო ეს დანაშაული. ამასთან გეტყვით, რომ ისეც არ წვიმს, როგორც ქუხს... ჩვენ ხშირად გვეუბნებიან, რისთვის არის საჭირო სტატისტიკა და სტატისტიკა გამოხატავს თუ არა რეალურ სურათს ქვეყანაში არსებული სიტუაციისასო. ჩნდება მეორე კითხვაც – ხომ არ არის სტატისტიკა შელამაზებული. მე მინდა განვაცხადო, ჩვენ არ ვერიდებით არავითარი დანაშაულის აღრიცხვას და მითუმეტეს, იმ დანაშაულებებისაც კი, რომლებიც წინა წლებში მოხდა. ჩვენ გვინდა მოსახლეობას ვაჩვენოთ, თუ რა სიტუაციაა მთლიანად ქვეყანაში შექმნილი. ალბათ საინტერესო იქნება თქვენთვის, მკითხველისთვის, გარკვეული სტატისტიკა, რომელსაც მალე შემოგთავაზებთ. ციფრები უნდა შევადაროთ ერთმანეთს, ვნახოთ რა მოხდა და რა ხდება და რისკენ მივდივართ საერთოდ. ჩვენ გვაქვს 1996 წლის მონაცემები, შეჯამებული გვაქვს 1997 წლის პირველი კვარტლის შედეგები და მე მინდა დავარწმუნო ჩვენი მოსახლეობა, რომ შედეგები საკმაოდ დამაიმედებელია. ყოველ შემთხვევაში, ესენგეს მასშტაბითაც და ბევრი ევროპული ქვეყნის მონაცემებზეც საიმედო. ხშირად გაისმის, რად გვინდა ეს ციფრები, მაგრამ, თუ გვინდა რეალურად ვნახოთ რა ხდება, მაშინ გვჭირდება ეს ციფრები, თუ არა და, კარგად ჩანს საერთო სიტუაციიდან გამომდინარე, როგორი ვითარებაც არის.

გაგრძელება. დასაწ. იხ. „საქართველო" №30-40.

**ნ.გ.** – *რამდენად რეალურია ხმები, რომ ჯიბის „ბაცაცები" შეკრულები არიან ადგილობრივ პოლიციასთან?..*

**კ.თ.**– ბ-ნო ნოდარ, კაცმა შეიძლება ყველაფერი წარმოიდგინოს, მაგრამ ახლა, პოლიცია რომ ჯიბის ქურდს შეეკრას, ეს ძალიან საეჭვოა. ამ ჯიბის ბაცაცების სიმრავლე სოციალური პრობლემებითაც არის გარკვეულწილად გამოწვეული. ხალხი, მე მგონი, საზოგადოებრივ ტრანსპორტში დიდი ფულით არ მოძრაობს, იქ რაღაც ერთ ლარს და ორ ლარს რომ ვიღაცა მოიპარავს, ის არა მგონია ვინმეს გაუნაწილოს. საერთოდ კი, გამონაკლისის უარყოფა არ შემიძლია.

**ნ.გ.** – *რაკი სიტყვა პოლიციელებზე ჩამოვარდა და ითქვა ისიც, მათთვის ერთი და ორი ლარი რაღა გასანაწილებელიაო, ახლა მათი მხრიდან მინდა დავისვათ კითხვა, რამდენია პოლიციელის ხელფასი?*

**კ.თ.** – საშუალო ხელფასი სადღაც 60 ლარის ფარგლებში მერყეობს.

**ნ.გ.** – *დამეთანხმებით, რომ მიუხედავად იმისა, რომ 60 ლარს ჩვენში რატომღაც დიდი ხელფასი ჰქვია, ეს საკმარისი სრულიადაც არ არის თუნდაც მინიმუმის დასაკმაყოფილებლად, ადამიანის საარსებოდ.*

**კ.თ.** – რა თქმა უნდა, მაგრამ ჩვენთან არის უფრო დიდი ხელფასები, რომელიც 100-150 ლარს აღემატება.

**ნ.გ.**– *არც ესაა ფუფუნება, მაგრამ კარგად წერია „დათა თუთაშხიაში", კაცი უნდა ეყოს ხელფასს და არა ხელფასი კაცსო. მაგრამ კაცი რომ ეყოს ხელფასს და ასეც ჩაიფიქროს, რა ქნას, თუ ის ხელფასიც არ რიგდება? რამდენადაც მე პოლიციელებისგან ვიცი, თვეების განმავლობაში მათ ხელფასები არ მიუღიათ.*

**კ.თ.** – რა თქმა უნდა, ის ხელფასი, რასაც პოლიციელი ღებულობს, ადექვატური არ არის გაწეული შრომისა, მაგრამ დღევანდელი ეკონომიური სიტუაციებიდან გამომდინარე არც თქვენი შრომა არ არის შეფასებული და არც არავის შრომა არ არის ისე შეფასებული, როგორც ეს უნდა იყოს. თქვენ სწორი ბრძანდებით, ადამიანი უნდა ეყოს ხელფასს და არა ხელფასი ადამიანს, მაგრამ საქმე რაშია იცით?.. გარკვეული პერიოდი, ალბათ, პოლიცია პრივილეგირებული უნდა იყოს ამ საკითხში, რამეთუ მის ხელში არის ის ძალა, მის ხელში არის კანონი, რომელმაც უნდა იმოქმედოს და იმუშაოს. სახელმწიფო ფიქრობს და მომავალშიც იფიქრებს იმაზე, რომ გაუმჯობესდეს პოლიციელის ცხოვრება.















ახლა რაც შეეხება ხელფასების გაუცემლობის საკითხს. მე სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ ამას, გაუცემელი ხელფასები ჩვენთან თვეების განმავლობაში არ ყოფილა, შეიძლება იყოს და ყოფილიყო რამოდენიმე დღით გაუცემელი და იმასაც ვფიქრობთ, რომ ესეც არ დავუშვათ, მაგრამ ყველაზე დიდი პრობლემა ექმნებათ იმ პოლიციელებს, რომლებიც ადგილობრივ ბიუჯეტზე, (ადმინისტრაციული პოლიცია მაქვს მხედველობაში) არიან. აი ამ ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ პოლიციელებში მართლაც არის ასეთი შემთხვევები, როდესაც ხშირად ვერ აძლევენ ხელფასს და მუდმივად არის უზარმაზარი დაპირისპირებები ადგილობრივ ხელისუფლებასთან. 1997 წლის იანვრის თვეში, ჩვენ რაც შეიძლებოდა, მაქსიმალურად შევამცირეთ იმ პოლიციელების რაოდენობა, რომლებიც ადგილობრივ ბიუჯეტზე ფინანსდებოდნენ, მაგრამ მთლიანად ცენტრალურ ბიუჯეტზე პოლიციის დაფინანსება გამორიცხულია, ეს არც ერთ ქვეყანაში არ ხდება. არც აქ შეიძლება მოხდეს ამდენად, ეს უკვე ადგილობრივ ხელისუფლებაზეა დამოკიდებული. უზარმაზარი დაპირისპირებები გვაქვს, როდესაც ხდება დაგვიანებით პოლიციელთა ხელფასების გაცემა, მაგრამ სულ თბილისში 1997 წელს არის 494 კაცი ადგილობრივ ბიუჯეტზე, როდესაც აქამდე სამჯერ მეტი იყო. რაც შეიძლებოდა, შევამცირე მათი რიცხვი, ცენტრალურ ბიუჯეტზე გადმოვიყვანე. სამეგრელოში, ზემო სვანეთში ადგილობრივ ბიუჯეტზე დარჩა სულ 136 კაცი. ეს არის ძალიან მცირე რაოდენობა იმ პოლიციელებისა, რომლებიც უნდა შეინახოს მხარემ და რეგიონმა და აქ უკვე პასუხისმგებლობა უნდა დავაკისროთ, ალბათ, იმ რწმუნებულებს და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, ვინც უნდა დააფინანსოს პოლიცია. როდესაც ვამბობთ, რომ ჩვენი გარანტი უნდა იყოს პოლიცია, შესაბამისად, გარკვეული ხარჯებიც უნდა გავწიოთ პოლიციის შესანახად. წინააღმდეგ შემთხვევაში, პოლიცია ვერ იქნება გარანტი. პირიქით, უხელფასო პოლიციელები, მე ვაცხადებ და ყოველთვის ვაცხადებდი, გახდებიან ყაჩაღები. ამიტომ მათ ის ხელფასი მაინც უნდა მივცეთ, რაც სახელმწიფომ განუსაზღვრა ამ ეტაპზე. ყველაზე ანაზღაურებადი პროფესია პოლიციელის პროფესიაა საზღვარგარეთ და მომავალში საქართველოშიც ასე უნდა იყოს...

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პროლეტარებო ყველა ქვეყნისა — ვაჟა ხაჭაპურიძის დასაცავად

ამ დღეებში მოსკოვში დასრულდა კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო შეხვედრა. მისი მონაწილეები სოლიდარობას უცხადებენ ამხანაგებს ვაჟა ხაჭაპურიძეს, ალფრედ რუბიკსს, იუოზაუს ერმოლაევიჩუსს და მიკოლას ბუროკიაევიჩუსს. ამის შესახებ არის საუბარი განცხადებაში „პოლიტპატიმრების დაცვის შესახებ“, რომელიც საერთაშორისო შეხვედრის მონაწილეებმა მიიღეს. განცხადების ტექსტში ნათქვამია, რომ რიგ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოიშვნენ, ხელისუფლებაში მოსული ანტისახალხო ძალები მკაცრ ანტიკომუნისტურ პოლიტიკას ატარებენ, კრძალავენ ამ ქვეყნების კომუნისტური პარტიების მოღვაწეობას, სდევნიან კომუნისტური მოძრაობის აქტიურ ლიდერებს მათი პოლიტიკური მრწამსისა და საბჭოთა კავშირის აღდგენის რწმენის გამო. ასეთ ქვეყნებს შორის არიან ლიტვა, ლატვია, საქართველო. ამ ქვეყნების ციხეებში კომუნისტები იტანჯებიან.

1991 წლის აგვისტოში ციხეში ჩასვეს ლატვიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ალფრედ რუბიკსი. 1994 წლის იანვარში – ლიტვის კომპარტიის პირველი მდივანი ნიკოლას ბუროკიაევიჩუსი და ლიტვის კომპარტიის პირველი მდივანი იუოზას ერმოლაევიჩუსი. თითქმის წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ედუარდ შევარდნაძის რეჟიმის სპეცსამსახურების პროვოკაციების შედეგად დააპატიმრეს და ციხეში ჩააგდეს საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი ვაჟა ხაჭაპურიძე, – აღნიშნულია განცხადებაში. (ბი ჯი აი)

# ორ გროშად გაყიდული ქვეყანა...

ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულ მუდმივმოქმედ სადისკუსიო კლუბში, მეცნიერ-პედაგოგთა და ბიზნესმენთა წინაშე მოხსენებით წარსდგა პროფესორი, საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრი ავთანდილ სილაგაძე.

მეცნიერისა და მინისტრის შინაარსობრივად დატვირთულმა გამოსვლამ, პრივატიზირების პროცესში დაშვებულმა შეცდომებმა, სიძნელეებმა და სირთულეებმა, სახელმწიფო ქონებით ზოგიერთთა გამდიდრებამ, შრომაში მკლავმოღლილთა საცინლად აგდებამ, ქონების წილით 2 კილოგრამი მარწყვის ყიდვამ, გაყიდული ქონებიდან ამოღებული დოლარების გაუჩინარებამ მრავალრიცხოვან აუდიტორიაში გულგრილი არავინ დატოვა, რის გამოც ბატონ მინისტრს ცხარე შეტევების მოგერიება მოუხდა.

როცა სამართლიანად აღშფოთებული მეცნიერები გულში ნადებ ბოღმას მინისტრზე აფრქვევდნენ, მე გულში მათ სოლიდარობას არ ვუცხადებდი და ჩემთვის ვფიქრობდი, რა შუაშია მინისტრი, განა მის ადგილზე სხვა პირი რომ ყოფილიყო, უარესი შედეგები არ გვექნებოდა? აქ ძაღლის თავი იქაა დამარხული, რომ ქვეყნის გარეთ დაგეგმილი და თავს მოხვეული საპრივატიზაციო პროგრამა თავიდანვე უდღეურ ბავშვს წააგავდა, საქართველო მოუმზადებელი იყო მსგავსი ღონისძიების ჩატარებისათვის ის რაც ზოგიერთს პრივატიზაციის პერიოდში წარმატებად მიაჩნია, ზოგჯერ ხომ უხარიათ ხოლმე გასაყიდად დაგეგმილი ობიექტებიდან 74% გაიყიდაო, გვერდიდან მოყურადე, საქმეში ჩახედულ ქართველს დღემდე გაწეული მუშაობა სახელმწიფო ქონების ძარცვად, ბოროტმოქმედების ტოლფასად და ხალხის ღალატად მიაჩნია.

ქვეყანაში არსებული მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური პირობების გაუთვალისწინებლად მსოფლიო ეკონომიკურმა ბანკმა საქართველოს მთავრობას სახელმწიფოს მიერ საუკუნეების მანძილზე შექმნილი ქონების გაყიდვისათვის შემჭიდროებული ვადა, სულ რაღაც 8–10 თვე დაუწესა. პრივატიზაცია 1993 წლის მაისში უნდა დაწყებულიყო და 1994 წლის იანვრისთვის დამთავრებულიყო.

ჩვენმა ხელისუფლებამ პრივატიზაციის დაწყებამდე საკუთარი ადამიანები მწარედ მოატყუეს, გააბრიყვეს, კაპიკები, რომლებიც შავი დღისათვის ჰქონდათ გადანახული, ბანკში შეატანინეს, ერთეული თანამემამულეებისა და უცხოელებისათვის ვაჭრობა გამართეს, აქეთ კი ქვეყნის ძირითადი ხერხემალი – საზოგადოება მძიმე მდგომარეობაშია. მათი უდიდესი ნაწილი შიმშილით სულს ღაფავს.

ავად იყო თუ კარგად, სახელმწიფო ქონების ნახევარზე მეტი დღეისათვის გაყიდულია. სამინისტრომ, როგორც ეტყობა, გაყიდვისას შუამავლის როლი შეასრულა. გაყიდული ობიექტებიდან ამოღებული თანხა 450 მილიონი დოლარის ოდენობით ჩაერიცხათ იმ უწყებებსა და სამინისტროებს, ვისაც გასაყიდი ობიექტი ეკუთვნოდათ. უსახსრობით გაწამებულმა სტრუქტურებმა ჯერ შეპარვით იწყეს ანგარიშზე მოხვედრილი ფულის ხარჯვა, შემდგომ კი მადა ჭამაში მოუიდა და წლების მანძილზე ხალხის ოფლით შექმნილი ქონებიდან, ხშირ შემთხვევაში ბოქლომ დადებული გაძარცვულ-გაღლეტილი შენობებილა დარჩა. საერთო ქონება ერთეულთა ხელში მოხვდა, ფულით კი სხვასავით უფულობით გატანჯულმა ადამიანებმა თავი გადაირჩინეს და დროებით შიმშილით სიკვდილისგან თავი იხსნეს.

გაგრძელება მე-5 გვ

# მამულო, თვალისჩინო, შენს გენერლებს ემატებათ ჩინი...

პირველი გვერდიდან

კეთილ სურვილებთან ერთად სამახსოვრო მისამართები გადასცა რუსეთის ჯარების შტაბის წარმომადგენელმა ამიერკავკასიაში, რაც, ალბათ, იმით იყო გამოწვეული, რომ ახლო მომავალში ჩვენი „დიდი ძმები“ უკანდაუბრუნებლად აპირებენ შტაბის გადატანას სტავროპოლში (კინჩხიც უტეხიათ).

დარბაზში დამსწრეთ გააცნეს საქართველოს პრეზიდენტის №128 ბრძანებულება გენერალ-მაიორ მეიფარიშვილისათვის გენერალ-ლეიტენანტის, ხოლო პოლკოვნიკ გურგენიძისთვის გენერალ მაიორის წოდების მინიჭების შესახებ. ეს უკანასკნელი ოსურ-ქართული კონფლიქტის დარეგულირების კომისიის უფროსი ოფიცერი გახლავთ და, ალბათ, ამ საქმეში მიღწეული ვეებერთელა წარმატებებისათვის დაჯილდოვდა. ახლა უკვე, როცა ამდენი გენერალ-ლეიტენანტები და მაიორები დაგვიგროვდა, ალბათ, იჭავჭავაძის „მგზავრის წერილებში“ ნახსენები რუსისა არ იყოს, უცილობლად განათლებულ ხალხად ჩავითვლებით (თუმცაღა, ამ ბოლო ხანებში რუსეთის თავდაცვის სამინისტროში გავრცელდა ჩვეულება ქართველი გენერლების ლეიტენანტებად მოხსენიებისა). სხდომის დასკვნით ეტაპზე ბატონმა ვარდიკომ ქების სიგელებისა და ფასიანი საჩუქრების მორევში დაახრჩო თავგამოჩენილი ქართველი ოფიცრები. დასაჩუქრებულთა სიაში შეყვანილები, ეტყობა, წინასწარ ვერ გააფრთხილეს და ამიტომაც გვარის გამოცხადების შემდეგ, დარბაზის ყველა კუთხეში დაქსაქსულები, გამართული, სამხედრო დისციპლინით აღსავსე სირბილით მიისწრაფოდნენ სცენისაკენ, სადაც დიდი მარშ... უკაცრავად, ბატონი ვარდიკო ელოდებოდათ საჩუქრით ხელში (მოგეხსენებათ, მინისტრებს ლოდინი არ უყვართ). დასაჩუქრების ცერემონიალის შემდეგ სხდომის ოფიციალური ნაწილი დამთავრებულად გამოცხადდა. ბანკეტზე ჟურნალისტები დაპატიჟებულნი არ ყოფილან, ამიტომ ვინ რამდენლიტრიანი ყანწის შესმით ასახელა ქართული ჯარი, ჩვენთვის უცნობი დარჩა.

რა შეიძლება ვუსურვოთ ჩვენს მშიერ, გამხდარ, აჩაჩულ-დაჩაჩულ ჯარს? დიდი იმედებით ველით ქართული ჯარის შექმნის მე–7 წლისთავს, ვინძლო გაისად მაინც, ბუტაფორიული მიღწევების მაგივრად, რეალურად საზეიმო გამარჯვებით გაგვეახარონ.

კობა კამიკაძე

## ქართული ჯარი ბრძოლისუნარიანია

გუშინ თბილისის ოფიცერთა სახლში საზეიმოდ აღინიშნა ქართული ჯარის დღე. ეს თარიღი უკვე მეორედ აღინიშნება. როგორც საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ დავით სოხაძემ აღნიშნა, ქართული ჯარის ფორმირება მიმდინარეობდა საბრძოლო მოქმედებების დროს სამაჩაბლოსა და აფხაზეთში. ახლა, როცა დღის წესრიგში დგას საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობის აღდგენის საკითხი, თუ პოლიტიკოსებმა ამ ამოცანას თავი ვერ გაართვეს, მაშინ მის გადაჭრას საქართველოს შეიარაღებული ძალები შეძლებენ. სამხედროების დაჯილდოების ცერემონიის შემდეგ კონცერტი გაიმართა. (ბი ჯი აი)

## საქართველოს მთავრობა გაოცებას გამოხატავს

აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში კოლექტიური სამშვიდობო ძალების სარდლის დ.ბაბენკოვის განცხადებაზე, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთებში „სევოდნია“ და „ნეზავისიმაია გაზეტა“, თავდაცვის სამინისტროს პრეს-სამსახურმა გაავრცელა პასუხი.

დ.ბაბენკოვი გამოქვეყნებულ განცხადებაში ქართულ მხარეს ბრალს სდებს იმაში, რომ ამ უკანასკნელმა არ მოახდინა რეაგირება მის წერილობით წინადადებაზე – კოლექტიური ძალების მიერ კონტროლირებადი უშიშროების ზონის გაფართოების შესახებ.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო კატეგორიულად უარყოფს წაყენებულ ბრალდებას. მათ მიერ გაკეთებულ განცხადებაში ნათქვამია: „საქართველოს მთავრობა გაოცებას გამოხატავს, ქართული მხარის მისამართით გენერალ-ლეიტენანტ დ.ბაბენკოვის გამონათქვამებთან დაკავშირებით, რომელიც, დსთ-ს სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს მიერ მ.წ. 28 მარტის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებების შეუსრულებლობას შეეხება. ქართულ მხარეს განზრახული აქვს დასვას დ.ბაბენკოვის შეცვლის საკითხი, მისი უფლებამოსილების ვადის ამოწურვისთანავე, უფრო კომპეტენტურ და ინიციატივიან სარდალზე“. (იფრინდა)

## პრეზიდენტმა განკარგულება გასცა

დღეს თბილისს ეწვევა სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის პრეზიდენტი ბატონი ფაუტი ალ-სულთანი.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოს საგარეო საქმეთა და სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროებს, სხვა შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს დაევალათ ორგანიზაცია გაუწიონ დელეგაციის მიღებას, უზრუნველყონ სტუმრების დახვედრა-გაცილებისა და სხვა ღონისძიებათა განხორციელება.

## გაიხსნება ორი ახალი ხაზი

როგორც ცნობილია, უკვე მოქმედებს საავტომობილო-საბორნე გადასასვლელები ფოთი-ბერგასი და ფოთი-ილიჩოვსკი. წელს გაიხსნება 2 ახალი ხაზი ფოთი-კონსტანცა და ბათუმი-ნოვოროსიისკი. გარდა ამისა, მრავალმა ქვეყანამ გამოთქვა სურვილი მიიღოს მონაწილეობა. ბორნის წყალობით თითქმის 9-ჯერ გაიზარდა ტვირთბრუნვა საქართველოსა და უკრაინას შორის.

# ღრეობა „წითელ პარასკევს“?!

პირველი გვერდიდან

მოძღვარის მიერ ნაკურთხი საკურთხით, არამედ... ზედ „წითელ პარასკევს“!.. ჭეშმარიტი მორწმუნესათვის, ალბათ, შემზარავია ამის წარმოდგენაც კი!.. ბოლოს და ბოლოს, ამ კაი ხალხს „არსენას ლექსი“ მაინც არ წაუკითხავთ: მე დღეს ღვინოს როგორ დავლევ, წითელი პარასკევიაო!..

დიახ, წითელ-წითელ კვერცხებით (წითელ კვერცხს მაინც არ უნდა მიირთმევდეთ, იგი წითელ პარასკევს კი იღებება, მაგრამ აღდგომამდე არ იჭმევა-მეთქი!.. რას ბრძანებთო! – აქეთ დამარიგეს ჭკუა, – კვერცხს იმიტომ ვღებავთ წითლად, წითელ პარასკევს რომ ვჭამოთო!), ნაზუქებით, ხაჭაპურებით, ცხვრის ჩაქაფულითა და ბასტურმით, შებრაწული გოჭითა და მრგვლად მოხარშული დედლით, საერთოდ, რაც კი სახსნილო არსებობს, ღვინით, არყით, ლუდით დატვირთულნი მიაშურებენ სალოცავს და... ღრეობენ თავდავიწყებით!..

თქვენო უწმინდესობავ! კომუნისტებს, მოგეხსენებათ, შესანიშნავად ჰქონდათ დაყენებული აგიტაცია-პროპაგანდის საქმე. იმიტომაც დავიზარდეთ ათეისტებად. თითოეული ჩვენგანი რომ ჭეშმარიტი მორწმუნე გახდეს, თქვენი ძალისხმევაა საჭირო. გამოიყენეთ პრესა, ტელეხედვა, რადიო. დაიწყეთ ანაბანით! თქვენი მრევლის აბსოლუტურმა უმრავლესობამ, პირჯვრის წერის გარდა, არაფერი იცის!..

ბიზო ზარნაძე

## ენერგოსისტემას მხოლოდ წყალდიდობა აკლდა

დეპარტამენტ „საქენერგოს“ ცნობით, წყალდიდობამ ძლიერ დააზიანა საქართველოს ენერგოსისტემა. თბილისში მწყობრიდან გამოვიდა ზაჰესი, გადატვირთვის გამო გაჩერდა თბილსრესი. გუშინ ღამით სასწრაფოდ ჩართეს მე-9 ენერგობლოკი, რომელიც 160 მეგავატ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს. აფხაზებმა კვლავ გამორთეს 500 კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზი. დღეისთვის საქართველოს ენერგოსისტემა პარალელურ რეჟიმში მუშაობს აზერბაიჯანის ენერგოსისტემასთან. (ბი ჯი აი)

## შაშიაშვილი სამოქმედო მასშტაბებს აფართოებს...

ქუთაისის მერის თემურ შაშიაშვილის მიწვევით, ქუთაისში იმყოფებოდნენ გერმანული კონსორციუმის „ლობერტ კრიუგეს“ წარმომადგენლები, რომლებსაც კონსორციუმის დამაარსებელი დიტერ ლობერტი მეთაურობდა. დელეგაციამ შეისწავლა რეგიონის პოტენციალი და განიხილა ადგილობრივ მეწარმეებთან თანამშრომლობის გეგმა. კერძოდ, ისინი ქიმიურ მრეწველობაში თანამშრომლობით არიან დაინტერესებულნი. გარდა ამისა, კონსორციუმი მონაწილეობას მიიღებს ქუთაისის საკონსერვო ქარხნის აღდგენაში. გუშინ კონსორციუმის წარმომადგენლებმა საკუთარი გეგმები საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს გააცნეს. (ბი ჯი აი)

## დეპარტამენტი გემებს ჩამოწერს

საზღვაო-სანაოსნო დეპარტამენტს გადაწყვეტილი აქვს 6 გემის ჩამოწერა, რომლებიც შეკეთებას არ ექვემდებარება. განსაზღვრულია მათი ჯართად რეალიზაცია, ამონაგები თანხა ახალი გემების შეძენას და ძველების შეკეთებას მოხმარდება.

## სკოლებში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა მშობლებისაგან ფულის შეგროვება

თუ სახელმწიფოს სურს განათლების ცივილიზებული სისტემა ჰქონდეს, აუცილებლად უნდა აიკრძალოს მოსწავლეებს შორის ფულის შეგროვების პრაქტიკა, – ნათქვამია ბავშვთა უფლებების დაცვის ლიგის განცხადებაში. მასში აღნიშნულია, რომ ბავშვები შუამავლებად იქცნენ მშობლების მიერ მასწავლებელთათვის ფულის გადაცემაში. ბავშვთა უფლებების დაცვის ლიგას მიაჩნია, რომ პასუხი უნდა აგონ როგორც სკოლების დირექტორებმა, ასევე საქართველოს განათლების სამინისტროს თანამშრომლებმა. (ბი ჯი აი)

# უსწავლელთა თარეში სახელმწიფოს საჭესთან

## ფედერალიზაციის გეგმა ანტიმეცნიერულია, ფედერალიზაციის გეგმა ანტიქართულია

ნოდარ ნათაძე

### III. საკითხისადმი დამოკიდებულება კატასტროფის ხანაში

მხედველობაში გვაქვს შეერთებული შტატების ერთ-ერთი სპეცსამსახურის მოხსენება გერმანიის ვითარებაზე 1944 წლის ბოლოს და 1945 წლის პირველ თვეებში. ("Zwischen Befreiung und Besatzung ", Wuppertal, 1976, გვ 139-144)

აქ სხვათა შორის ვკითხულობთ: „სხვადასხვა წყაროთა ცნობები გვიჩვენებენ გერმანელთა უმრავლესობის აპათიურ, უინტერესო ან სულაც უარმყოფელ დამოკიდებულებას ყოველგვარი პოლიტიკური საკითხებისადმი. მაგრამ ბოლო დროს ჩნდება იმის ნიშნები, რომ ბევრნი ინტენსიურად ფიქრობენ იმაზე, რა ბედი ელით ომის შემდეგ, ამასთან, საკმაოდ ნათლად იაზრებენ იმასაც, თუ როგორი იქნება ოკუპაცია მოკავშირეთა მიერ და რა ცვლილებებს შეიტანს იგი მათი სახელმწიფოს ზომასა და სტრუქტურაში“...

ბოლო თვეების გამოკითხვა) „გვიჩვენებს, რომ გერმანელები დამარცხების შედეგად მოელიან, სულ ცოტა, მოკავშირეთა მიერ ოკუპაციას და გეოგრაფიულ ცვლილებებს. ეს განწყობა ყველაზე მეტად გერმანიის დასავლეთ და სამხრეთ ნაწილებში სუფევს. უფრო დაწვრილებითი ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ ამის უკან სხვადასხვა წარმოდგენათა ნარევი იმალება, მაგ. რომ ოკუპაცია გარდუვალია, ტერიტორიების დაკარგვა აღმოსავლეთში – გარდუვალი და შინაგანი ცვლილებები სამხრეთსა და დასავლეთში – ალბათი. რაიმე ნათელი და კონსტრუქციული პოლიტიკური მიმართულება არ ჩანს. ხსენებული სათუო წარმოდგენები, უფრო, თავდაცვითი მიზნების ამსახველია. მათი საფუძველია იმედი, ეგებ დამარცხების შედეგებს დავუძვრეთო. სხვადასხვა სოციალურ ფენათა და ჯგუფთა შეხედულებები მკაფიოდ განსხვავებულია. საშუალო და ქვედა ფენები პირველ ყოვლისა პირად უსაფრთხოებაზე ზრუნავენ, იმედი აქვთ, რომ შეძლებენ თავისი სამეურნეო და პოლიტიკური პოზიციების შენარჩუნებას.

...გერმანული ნაციონალიზმის ისტორიის და ნაცისტთა პრეტენზიის შუქში, გერმანიის გაერთიანების ბისმარკის მიერ დაწყებული საქმე დავაგვირგვინეთო, ქვეყანათა (მიწათა) სულისკვეთების და ტომობრივი ცნობიერების ეს გაცოცხლება... მოულოდნელი ჩანს.

...უდავოა, რომ რეგიონალიზმს ღრმა ფესვები აქვს ცალკეულ მიწათა (ქვეყანათა) ისტორიაში, რომელნიც გერმანულ ერად შეიკრნენ. სამეფო-სამთავროები, რომლებითაც ერთ დროს მოფენილი იყო გერმანული რუკა, ნელნელა გაქრა პრუსიის დიდ სახელმწიფოდ აღზევებისა და მათი სოციალური და სამეურნეო ურთიერთდამოკიდებულობის ზრდის კვალდაკვალ". (ფედერალური სახელმწიფო ერთიანობის მიღწევის შემდეგ 1871 წელს) „ცალკეულ გერმანულ ქვეყანათა დამოუკიდებელი პოზიცია ცენტრალური სახელმწიფოს (რაიხის) მიმართ უფრო და უფრო სუსტდებოდა საზოგადოებრივი აზრის წყალობით, რომელიც ერთიანობის მომხრე იყო (ხაზი ჩემია. ნ.ნ.) და მზარდი ურთიერთკავშირის გამო, რომელიც მათ ჰქონდათ მართვისა და ეკონომიკის სფეროში. ნაცისტების მიერ ჩატარებული ტოტალიტარული რეფორმების წყალობით მართვისა და ეკონომიკის სფეროში ამ მცირე სახელმწიფოებმა პრაქტიკულად მნიშვნელობა დაკარგეს და ხელოვნურ ოდენობებადღა დარჩნენ“.

მაგრამ რეგიონალური და პარტიკულარისტული შეხედულებები მაინც დარჩა. ისინი, პირველ ყოვლისა, „დინასტიური ტრადიციებიდან მომდინარეობენ, რომლებიც დღეს მიწათა (ქვეყანათა) ბიუროკრატიების კერძო ინტერესებში განაგრძობენ სიცოცხლეს. ამასთანავე, მნიშვნელობა აქვს კულტურისეულ სხვაობებსაც ენაში, წეს-ჩვეულებებში, კერძებში და ა.შ., რაც თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს. ამ ფაქტორების კომბინაციამ განსაკუთრებით ძლიერი კერძო რეგიონალური ცნობიერება შექმნა ბავარიასა და რაინის მხარეში, რომელიც ზოგჯერ სახელმწიფოსაგან გამოყოფის საშიშროებასაც კი ქმნიდა...“

მომხსენებელთა აზრით, რეგიონალური განწყობილებები ძირითადად ორი ფორმით არსებობს: დაუნაწევრებელით და დანაწევრებულით.

პირველი „არ შეიცავს ნათელ წარმოდგენას იმაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს გერმანიის შიგნით დამარცხების შემდეგ, იგი, უფრო, იმაზე მეტყველებს მხოლოდ, რომ ადამიანები მოკლებულნი არიან თავისი თავის იდენტიფიკაციას სახელმწიფოსთან (ხალხთან) მის მთლიანობაში და ფატალისტურად არიან შერიგებულნი როგორც ოკუპაციას, ისე ტერიტორიულ დანაკარგებს. „ჩვენ ისე არა ვართ სახელმწიფოს (რაიხის) ცნობიერებით შეპყრობილნი, როგორც ამას ნაცისტური პროპაგანდა ან მოკავშირეთა მიერ ჩატარებული დაკითხვები მეტყველებენო. უფრო მეტიც: აღმოსავლეთში ტერიტორიების დაკარგვასთან და სხვა პოლიტიკურ ცვლილებებთან, რაც გერმანიაში შეიძლება მოახდინონ, შერიგებულნი ვართ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს ოლქში (Gebiet) პირადი სამეურნეო უსაფრთხოების მინიმუმი დაცული იქნებაო“.

მეორე ფორმა თუმცა ამავე წანამძღვრებიდან ამოდის, მაგრამ გარკვეულ შინაგან ცვლილებებს გერმანიაში სასურველად მიიჩნევს.

„განსხვავება ამ ორ ფორმას შორის ემყარება განსხვავებას იმ ჯგუფთა შორის, რომელთათვისაც ეს განწყობები ტიპიურია. დაუნაწევრებელი ფორმა, ჩვეულებრივ, ახასიათებს ქვედა და საშუალო ფენებს – გერმანელთა იმ ამორფულ უმრავლესობას, რომელიც უნარმოკლებული ჩანს განივითაროს რაიმე პოლიტიკური წარმოდგენები და სხვა არაფერი აინტერესებს, გარდა თავისი პირადი ბედისა. მაგრამ მაინც უნდა შევნიშნოთ, რომ მუშათა კლასისა და პროფკავშირების პოლიტიკურად შეგნებულ წარმომადგენელთა შეხედულებები არაა ასახული იმ გამოკითხვაში, რომელსაც წინამდებარე განზოგადებები ემყარება“.

„რეგიონალიზმის დანაწევრებულ ფორმას გამოხატავენ მოხელეები, თავისუფალი პროფესიის ადამიანები და საქმოსნები დასავლეთსა და სამხრეთ გერმანიაში. ამ ადამიანთა უმრავლესობა თავისთავს უწოდებს ანტინაცისტებს. მაგრამ მათი ნალაპარაკევიდან ცალსახად ჩანს, რომ თავიანთი ოლქების დამოუკიდებლობას ისინი ესწრაფვიან პირველ ყოვლისა გარკვეული პოლიტიკური და სამეურნეო ინტერესების გამო, ისევე როგორც მთელ გერმანიაში შესაძლო რევოლუციური ცვლილებების შიშის გამო, რომლებიც ამ კერძო ინტერესებს დააზარალებენ“...

„სამხრეთის და დასავლეთის გერმანელები მზად არიან ჩამოწერონ მთელი გერმანია ოდერის ჩრდილოეთით, თუ ამით თავს აარიდებენ დამატებით ტვირთს იმის ზევით, რაც მაინც მოელით დამარცხების შედეგად“.

„...გერმანიის სამხრეთი და დასავლეთი ოლქები ტრადიციულად დასავლეთზე იყო ორიენტირებული. მოსახლეობას ახლა ამ ორიენტაციის გაძლიერება უნდა და მზადაა აღმ. გერმანიის გასაწირად, თუ ეს სჭირდება მათი თავის გადარჩენას“.

„ისინი, ვისაც გერმანიის რეგიონული მოწყობის დეტალური გეგმა აქვთ შემუშავებული, ასეთივე მოსაზრებებით ხელმძღვანელობენ. მაგრამ არის სხვა საფუძვლებიც, რომელთა გამოც ისინი ამა თუ იმ წარმოდგენებს იცავენ. ერთი უმცირესობა, რომელსაც დინასტიური ტრადიციის აღდგენა ჰსურს, პირდაპირ სეპარატიზმს ემხრობა; სხვები, – ალბათ, უმრავლესობა – ესწრაფვიან ავტონომიურ მმართველობას სახელმწიფოს (რაიხის) ჩარჩოში; კიდევ სხვანი არჩევენ რაინის მხარის (რაინლანდის) ფედერაციულ გაერთიანებას ერთ ან რამდენიმე სამხრეთ მიწასთან“.

ამ აღწერიდან ჩანს, ჯერ ერთი, ის, რომ სოციალური და ზოგადეროვნული უბედურებით გამოწვეული აპათია პოლიტიკური პრობლემებისადმი, რასაც დღეს საქართველოში ვხედავთ, ჩვენი ქვეყნის სპეციფიკა არ ყოფილა (მაგრამ ეს სხვათა შორის). მეორეც, ჩანს, რომ სახელმწიფოს ტერიტორიის მთლიანობა და, მით უმეტეს, სახელმწიფოს უნიტარული ტერიტორიული მოწყობა, როგორც სახელმწიფოს ძლიერების წყარო, ის ღირებულებებია, რომლებსაც განსაცდელის გამო აპათიაში ჩავარდნილი მოქალაქე ერთ-ერთს ყველაზე პირველს თმობს. მესამეც, ჩანს, რომ გერმანიის მიწებში (ქვეყნებში) არის პარტიკულარისტულად განწყობილი ფენა და ამ პარტიკულარიზმს, საქართველოსგან განსხვავებით, თავისი ლოგიკა (თავისი იდეოლოგია) აქვს. ჩანს აგრეთვე (და ეს მეოთხეა), რომ ფედერალისტურ ცნობიერებას და სოციალურ მდგომარეობას შორის შესაძლებელია კანონზომიერი კავშირი არსებობდეს და შესაძლოა მეორე პირველისთვის განმსაზღვრელი იყოს. ახლა, თქმულის გათვალისწინებით, მივუბრუნდეთ გერმანიაში ფედერალისტური და უნიტარისტული აზროვნების ზემოდასახელებულ მესამე კომპონენტს – აქსიოლოგიურ (ღირებულებრივ) სისტემებს, რომლებიც ჩვენ მიერ განხილულ მოტივთა და არგუმენტთა ფონს ქმნის.

გაგრძელება. დასაწ. იხ. „საქართველო“ №40

### IV. ღირებულებათა სისტემა, როგორც პოლიტიკის განმსაზღვრელი (ჩვენს საკითხში)

ზემოხსენებული მკვლევრები და მიმომხილველები იმის ნათელ სურათს ხატავენ, რომ ფედერალისტებისა და უნიტარისტების მიერ გამოყენებული მრავალგვარი არგუმენტაციის და მათი მრავალგვარი მოტივაციის უკან ძირეული ღირებულებრივი პოსტულატების განსხვავებულობა დგას. პირველი სხვაობაა: რომელია ღირებულებრივად უპირატესი – სახელმწიფოს ძლიერების და მისი ერთ-ერთი წყაროს, ერთიანობის ინტერესი თუ მიწის (ლანდის) დამოკიდებულობის ხარისხი? მეორე სხვადასხვაობა: რომელია პირველი ღირებულებრივი ორიენტირი – პოლიტეიის (გინდ სახელმწიფოს და გინდ ლანდის) ინტერესი თუ მოქალაქეთა სხვადასხვა ინტერესები, მათი დემოკრატიული თავისუფლებების ჩათვლით? თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ფედერალისტების მისწრაფება დეცენტრალიზაციისაკენ ჩერდება ფედერაციის სუბიექტის (ლანდის) დონეზე და მის ქვემოთ აღარ მიდის (თვით ლანდების მაქსიმალურად ცენტრალისტური ორგანიზაციის საწინააღმდეგო მათ არაფერი აქვთ), მაშინ ხსენებული ორი სხვადასხვაობა ერთზე დადის: უმაღლესი ღირებულება ენიჭება ან სახელმწიფოს მის მთლიანობაში, ან ფედერალურ ერთეულს, და ეს უკანასკნელი ინტერესი ფორმულირდება როგორც ლანდის („ქვეყნის“) დამოუკიდებლობის ხარისხი, ლანდისათვის „ჩამოყალიბების“ შესაძლებლობა და ა.შ. თუ რამდენად ღრმა არის ღირებულებრივი ორიენტაციის ეს სხვაობა, ჩანს იმ ფაქტიდან, რომ მსჯელობა (კამათი) ეხება არა მხოლოდ ლანდების „საკუთარი სახელმწიფოებრიობის“ ხარისხს ან მისი ქონა-არქონის ფაქტს (მით უმეტეს – არა მართვისათვის ოპტიმალური ზომის ერთეულთა შექმნას), არამედ იმას, თუ ვისია „პირველადი სუვერენობა“ და „ორიგინარული“ (ანუ ამოსავალი) უფლებამოსილებანი ანუ უფლებათა წყაროდ ყოფნის, ნების პირველად სუბიექტად ყოფნის ფუნქცია. ფედერალისტური თვალსაზრისი ბუნდს ლანდების დაფუძნებულად ხედავს მისთვის თავის უფლებამოსილებების ერთი ნაწილის გადაცემის გზით, რაც იმას ნიშნავს ლოგიკურად, რომ მოქალაქეს თვითიდენტიფიკაცია ჯერ ლანდთან უნდა ჰქონდეს და მერე (მეორადად) – ბუნდთან („ჯერ ბავარიელი ვარ და მერე – გერმანელიო“), მაგრამ სრულებითაც არ ნიშნავს ამასვე რეალურად, ანუ ადამიანთა ცნობიერებასა და ქვეცნობიერებაში ცენტრიდანული და ცენტრისკენული განწყობილებების თვალსაზრისით ან ლანდისა თუ სახელმწიფოსადმი მათი შინაგანი ბმულობის ხარისხის თვალსაზრისით. ამ უკანასკნელთა ბალანსი ან ერთ-ერთის უპირატესობა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული და თვით საკითხიც კი – ბალანსი გვაქვს ამ ორ ღირებულებას შორის თუ უპირატესობას ვაძლევთ ერთ-ერთს? – ყოველთვის ნათელ გაცნობიერებამდე არ მიდის, ვინაიდან სეპარატიზმის, პარტიკულარიზმის, სახელმწიფოს დასუსტების (თუნდაც მხოლოდ სამხედრო დასუსტებაზე იყოს ლაპარაკი) და სხვა ანალოგიურ ხიფათთა დაძლევის ამოცანა სრულებითაც არაა მიჩნეული – ნათელი ცნობიერების დონეზე – ფედერალიზმთან შეუთავსებელ ამოცანად. ფედერალიზმის მომხრენი არც თუ იშვიათად მიიჩნევენ, რომ ფედერალიზმი არ ნიშნავს სიმპათიას ან დამთმობლობას პარტიკულარიზმისადმი და, მით უმეტეს, სეპარატიზმისადმი.

გაგრძელება იქნება

## ფინანსთა მინისტრი მიხეილ ჭკუასელი გახდება

ამ დღეებში საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე პარლამენტს წარუდგენს მიხეილ ჭკუასელის კანდიდატურას ფინანსთა მინისტრის თანამდებობაზე დასამტკიცებლად. ამჟამად მიხეილ ჭკუასელი არის საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული გურიაში. როგორც ქვეყნის ხელისუფლების ერთ-ერთი კონფიდენციალური წარმომადგენელი იტყობინება, დავით იაკობიძემ საკუთარი სურვილით მოითხოვა ფინანსთა მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლება, რის შემდეგაც ედუარდ შევარდნაძემ ოფიციალურად დაასახელა საკუთარი კანდიდატი ფინანსთა მინისტრის თანამდებობაზე. დღეს მიხეილ ჭკუასელი მივლინებით თურქეთში იმყოფება, საიდანაც მაისის დასაწყისში დაბრუნდება, – სწორედ მაშინ, როცა მას პარლამენტს წარუდგენენ. როგორც წყარო იტყობინება, თურქეთში გამგზავრებამდე მიხეილ ჭკუასელმა თანხმობა განუცხადა პრეზიდენტს ფინანსთა მინისტრის თანამდებობის დაკავებაზე.

BGI-ის განმარტება: მიხეილ ჭკუასელი დაიბადა თბილისში. არის 26 წლის. ჰყავს მეუღლე და ორი წლის ვაჟი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, მაკროეკონომიკის სპეციალობით. დაამთავრა ასპირანტურა. იყო კომერციული ბანკის TBC-ის გამგეობის თავმჯდომარე, საქართველოს მოქალაქეთა კავშირის ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარე, მწვანეთა მოძრაობის მთავარი საბჭოს წევრი. არის საქართველოს მოქალაქეთა კავშირის წევრი. მისი ბოლო თანამდებობა – პრეზიდენტის რწმუნებული გურიაში.

ცხოვრებისეული კრედო: „სახელმწიფოებრიობა, ოჯახი, პატიოსნება“.

## ყოჩაღ მწვანეებო!..

### ხანძარი მწვანეთა შტაბ-ბინაში

შსს-ს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის ცნობით, 29 აპრილს გვიან ღამით, საქართველოს მწვანეთა პარტიის შტაბ-ბინას გაუჩნდა ხანძარი. შემთხვევის ადგილზე, 23 საათსა და 08 წუთზე, გავიდა 8 სახანძრო მანქანა. ხანძარი ლიკვიდირებულ იქნა 23 სთ-სა და 35 წუთზე. დაიწვა შტაბ-ბინის მეორე სართულზე განლაგებული 30 კვ.მ ფართი. წინასწარი მონაცემებით, ხანძარი გამოიწვია მოკლე ჩართვამ.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს მწვანეებმა გააკეთეს განცხადება, რომელშიც ნათქვამია: „თუ ეს ფაქტი არ არის დაკავშირებული შემთხვევასთან და გარკვეულ პოლიტიკურ მიზნებს ისახავს, რაც არ არის გამორიცხული ამ ბოლო ხანებში საქართველოს მწვანეების მიერ მწვავედ დაყენებული საკითხების თემატიკიდან გამომდინარე – ეთილირებული ბენზინის რეალიზაციის, თამბაქოს რეკლამის აკრძალვის, გენური ინჟინერიით მიღებული კარტოფილის საქართველოში გავრცელებით, ტყის მაფიასთან ბრძოლის და ა.შ., გვინდა წინასწარ განვაცხადოთ, რომ ტყუილად ნუ გაირჯებიან, რადგან არ არსებობს საქართველოში და მის გარეთ ძალა, რომელსაც შეუძლია მწვანეებს თავისი მსოფლმხედველობა და კურსი შეუცვალონ“. (იფრინდა)

# ორ გროშად გაყიდული ქვეყანა...

მესამე გვერდიდან

ბატონ ავთანდილ სილაგაძეს, აღდგომის წინა დღეს, უარი უნდა ეთქვა ცნობილ ეკონომისტებთან შეხვედრაზე. წარმოიდგინეთ, დარბაზში მყოფთა აბსოლუტურ უმრავლესობას კვერცხის ფულიც რომ არ ჰქონდა დატოვებული ოჯახში. აქ სხვათა მიერ გაფლანგულ მილიონობით დოლარზე იყო ლაპარაკი. ცნობილმა მეცნიერმა ქალბატონმა ნარგიზა გვალიამ სინანულით ისაუბრა ე.წ. ვაუჩერებზე, რომლებიც მოსახლეობის დიდმა ნაწილმა შეგნებულად არ აიღო, ხოლო ვინც აიღო, ისინი ვერ გამოიყენა. თვითონ ქალბატონმა კი ერთ თამარისელს 2 კილოგრამ მარწყვში გაუცვალა.

ბატონმა ვახტანგ დავითაშვილმა, დასმულ კითხვებზე გაცემულმა პასუხებმა რომ ვერ დააკმაყოფილა, სახრე ბატონ მინისტრზე გადატეხა და უთხრა: „ესე გაოხრებული ქვეყანა რომაა, თქვენ დააპროგრამეთო?“ მანვე სთხოვა მინისტრს გახმაურებული ბორჯომის წყლების ქარხნის გარდა დაესახელებინა თუნდაც ერთი პრივატიზებული ობიექტი, რომელმაც ხალხი გადაარჩინა, მიზანდასახულება გაამართლა.

მცხეთის რაიონში 101 ობიექტიდან პრივატიზებულია 39 ობიექტი, საპრივატიზებო ნუსხიდან ამოღებული იქნა 20 ობიექტი, ხოლო 42 ობიექტი განსახილველად სალიკვიდაციო კომისიაზეა გადაცემული. დარგობრივად აქ მეტნაკლებად ფუნქციონირებს 39 ობიექტი და საწარმო.

დუშეთის რაიონში პრივატიზებულია 41 საწარმო, მათ შორის ფუნქციონირებს მხოლოდ 10; თიანეთის რაიონში პრივატიზებულია 35 საწარმო და ობიექტი; ფუნქციონირებს 5, მათ შორის 1 სამრეწველო, 1 ვაჭრობის, 1 საყოფაცხოვრებო მომსახურების, 1 სოფლის მეურნეობის, 1 ენერგეტიკის ობიექტია. ყაზბეგის რაიონში სასამართლოს მიერ ბათილად იქნა ცნობილი ობიექტთა პრივატიზება მისი სამართალდარღვევით ჩატარების გამო (იხ. გაზ. „არაგველები“, №5, აგვისტო 1996 წელი).

თავიდანვე ნათქვამი იყო და არაერთხელ გაცხადდა, რომ კონტროლირებადი იყო ჩვენი ნებისმიერი ნაბიჯი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. თუ იგი ფიქცია არ იყო, მაშ რატომ არ ატეხეს ხმაური, თუ სად ინთქმებოდა ობიექტებიდან აღებული ფული; ხასიათი არ წაგიხდინათ პრივატიზების პირველი ნახევრის შედეგებმა? გამოვიდა ისე, რომ სახელმწიფოს აღარც ობიექტი აქვს და აღარც ფული.

**იაკობ ახუაშვილი**

## ვინ დათვლის ტყეში დათვი?

საქართველოში დღეისათვის არსებობს 16 ნაკრძალი და ერთი ეროვნული პარკი, რომლის საერთო ფართობი 188836 ჰექტარია. ნაკრძალებში დაცულია შემდეგი ცხოველები: 780 არჩვი, 225 დათვი, 456 კავკასიური ირემი, 506 კვერნა, 140 ნიამორი, 41 ფოცხვერი. 755 ჯიხვი, 893 შველი. ფრინველები: 75 მთის არწივი, 150 ბულბული, 420 გვრიტი, 610 კაკაბი, 2142 კოდალა, 790 ქედანი (გარეული მტრედი), 2 შევარდენი, 66 ხოხობი, 20 ოფოფი, 35 მიმინო, 2784 ჩხიკვი. სახელმწიფო ნაკრძალებისა და ეროვნული პარკის შენახვაზე ბიუჯეტიდან დაიხარჯა 207288 ლარი, სხვა წყაროებიდან 20406 ლარი.

საქართველოში არსებობს 31 დიდი და საშუალო მდინარე, რომელთა სიგრძე 50 კმ-ზე მეტია. (იფრინდა)

# აზერბაიჯანი ქართველი ჟურნალისტის თვალით

აზერბაიჯანში, პოსტკომუნისტური რესპუბლიკების სენი, ლტოლვა პოლიტიკური რეჟიმის დამკვიდრებისთვის, უფრო ძლიერად იგრძნობა, ვიდრე საქართველოში. ბაქოს პლურალიზმის ცენტრების შეკრებამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ჩვენს სივრცეში დემოკრატიაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. ის, რასაც ვაშენებთ, გარკვეულწილად ჩვენს ხელისუფალთა ნებაზეა დამოკიდებული, როგორ ქვეყანას მივიღებთ მომავალში. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ნაციონალური ხასიათიდან გამომდინარე, საზოგადოების აქტიურობის დონე რესპუბლიკებში მაინც სხვადასხვაა. მაგალითად, აზერბაიჯანში ხელისუფლების მაღალი ეშელონების მიმართ შიში უფრო მეტია, ვიდრე საქართველოში და უფრო ნაკლები, ვიდრე ტაჯიკეთსა და შუა აზიის რესპუბლიკებში. დიქტატურისაკენ სწრაფვის სენი და მისგან გამომდინარე ნეგატიური მოვლენები პროვინციაში, როგორც წესი, უფრო მაღალია. მხოლოდ დედაქალაქების საზოგადოებრიობა უწევს ამ მახინჯ მოვლენას აქტიურ წინააღმდეგობას.

ბაქოში ჩასვლისთანავე მუსავატელთა პარტიის შტაბ-ბინა მოვინახულეთ. იგი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ოპოზიციური პარტიაა აზერბაიჯანში. როგორც ითქვა, მომავალ არჩევნებში მუსავატელები წარმატებას მიაღწევენ, მაგრამ პარლამენტში მათი წარმომადგენლების რაოდენობა გარკვეულწილად დამოკიდებული იქნება, თუ ვის მხარეს დაიჭერს ელჩიბეი, რომელსაც მაისში დაუმთავრდება შინაური პატიმრობა ნახჩევანში და ბაქოში აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას დაუბრუნდება. ელჩიბეის ბედი და აზერბაიჯანში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები ნათლად გვიჩვენებენ, თუ როგორ ხდებოდა უცხო ძალის მიერ დაკვეთილის რეალიზება ადგილებზე. აზერბაიჯანელების ეროვნული, აღმოსავლურად რბილი ხასიათიდან გამომდინარე მათ არც ერთმანეთი ამოუწყვეტიათ და არც პრეზიდენტი მოუკლავთ, რასაც ჩვენ ნამდვილად ვერ დავიკვეხნით.

მუსავატელთა შტაბ-ბინაში გავიცანით ფრიად სასიამოვნო პიროვნება სულხადინ აკბარი, რომელმაც აზერბაიჯანში ჩამოაყალიბა ჩრდილოეთ ატლანტიკური კლუბი და იღწვის აზერბაიჯანის ნატოში გაწევრიანებისათვის. იგი ამავე დროს მუსავატური პარტიის თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილეა. სულხადინ აკბართან აზერბაიჯანში პრესის განვითარების შესახებ ვისაუბრეთ. მან ირონიულად შენიშნა, რომ სახელმწიფო გაზეთები დოტაციაზეა. 90% უფასოდ რიგდება, ხოლო 10% ოპოზიცია ყიდულობსო. ჰეიდარ ალიევი საჭვეყნოდ აცხადებს, რომ ცენზურა არ არსებობს, მაგრამ მათი ბეჭდის გარეშე არც ერთი გაზეთი არ გამოდის, რადგან თეთრი ლაქები გაზეთებში სწორედ ცენზურასთან ბრძოლის აშკარა გამოხატულებად იქცა. ახლა ცენზორები თხოულობენ, რომ მათგან ამოღებული მასალის მაგივრად რედაქტორებმა ან ახალი მასალა დაბეჭდონ, ან ნეიტრალური სურათი. ოპოზიციურ გაზეთებს ყველანაირად უშლიან ხელს თავის ფურცლებზე უცხოური ფირმების რეკლამა განათავსონ. ფირმებს დახურვითა და გაძევებით ემუქრებიან, ასევე აშინებენ დიდი გადასახადებით, ამიტომაც ისინი ერიდებიან პოპულარულ გაზეთებში რეკლამის განთავსებას. აზერბაიჯანული გამომცემლები იხდიან დამატებითი ღირებულების გადასახადს – 20%-ს. მათ ხელშეკრულებისაგან არავითარი შეღავათები არა აქვთ; პირიქით, ხშირად ხდება გაზეთის გამყიდველთა დაკავება და ტირაჟის ნაწილის ჩამორთმევა. ოპოზიციური გაზეთების გარდა არის თავისუფალი გაზეთებიც, რომლებიც უკეთეს დღეში არ არიან, რადგან ხელისუფლება მათ შორის განსხვავებას ვერ ხედავს. თითქმის ყველა გაზეთი ერთკვირეულია, მათი ტირაჟი 15-დან 18 ათასამდე აღწევს. თავისუფალი გაზეთებიდან გამოვყოფდი რუსულენოვან გაზეთს „ზერკალო“, რომელიც ძალიან პოპულარულია. შაბათის ნომერი 48 გვერდიანია, ხოლო ჩვეულებრივი 32 გვერდს ავსებს. ასევე ძალიან საინტერესოა გაზეთი „რეზონანსი“. იგი ახალი შექმნილია და ჯერჯერობით ტირაჟი 7 ათასი აქვს. მასზე უფრო ძველია გაზეთი „525“, რომელიც რაიონებშიც ვრცელდება.

ამგვარად, პირველი შთაბეჭდილებით, თუმცა, ძნელად და დიდი წინააღმდეგობების გადალახვით პრესა აზერბაიჯანში მყარ ნიადაგზე დგას, რასაც ვერ იტყვი ტელევიზიაზე. ჩვენი იქ ყოფნის დროს, რამდენჯერაც ჩავრთეთ პირველი არხი, ტრიბუნაზე მარტოდმარტო იდგა ალიევი და მიჩუმებულ დარბაზს მოძღვრავდა. როგორც თქვეს, ამ არხით გადაიცემა ალიევის როგორც ახლა ნათქვამი, ასევე კომუნისტური დროის გამოსვლები, როდესაც იგი აზერბაიჯანის კომპარტიის პირველი მდივანი იყო. დანარჩენი არხები (კიდევ 2) ჩვეულებრივ გადასცემენ ამერიკულ ფილმებს, აზერბაიჯანულ მუსიკას და მოკლე ოფიციალურ განცხადებებს. ამის გამო ბაქოს ინტელიგენცია იძულებულია მოსკოვისა და თურქეთის სატელევიზიო გადაცემებს მიმართოს.

ბაქოს ქუჩებში გასეირნება თვალს ახარებს. იგი არაა პირდაპირი გაგებით აღმოსავლური ქალაქი. დიდი მასშტაბის „მთაწმინდასა“ და „სოლოლაკს“ უფრო გვაგონებს, ევროპული ნეოკლასიციზმი და მოდერნი სჭარბობს. ბაქოს განთქმული ქარი რომ არა, იგი მართლაც მშვენიერი იქნებოდა. ქალაქის ძველი უბანი „შირვან შაჰის სასახლე“ გარშემორტყმულია მტკიცე გალავნით, შიგნით კი ორ-სამ სართულიანი კოხტა

გაგრძელება. დასაწ. იხ. „საქართველო“ №39.



სახლების, მეჩეთის ხალიჩების მუზეუმის გარდა, პატარა რესტორნებიცაა. გალავანს გარეთ რჩება შადრევნების მოედანი და ქალწულის ბულვარი, რომელიც სანაპიროს გასწვრივ რამდენიმე კილომეტრზე გრძელდება. ახლა ქალაქის ცენტრს უამრავი საზღვარგარეთული მაღაზია და კაფე შეემატა. ბაქოს მცხოვრებლებს ძალიან მოსწონთ ქუჩაში განლაგებულ კაფეებში ჯდომა და ტრადიციული ჩაის გარდა ევროპული თუ ადგილობრივი ნამცხვრებისა და თურქული ყავის მირთმევა.

სემინარის ერთ დღეს, ქალაქიდან მოშორებით, „გებრების ტაძარი“ მოვინახულეთ, სადაც საუკუნეების განმავლობაში ანთია ცეცხლი. ზოროასტრიზმის მიმდევრები ახლაც ჩამოდიან აქ სალოცავად, თუმცა დღევანდელი ხელისუფლება ასეთ ექსპედიციას არ მიესალმება და ხელს უშლის. ტაძარი მუზეუმადაა გადაკეთებული. გალავნის შიგნით, მთელ გაყოლებაზე კელიებია, სადაც ინდოელი მოგვები ისვენებდნენ და ლოცულობდნენ. კელიების შესასვლელ თაღებზე სანსკრიტსა და სპარსულ ენაზე ქვაზე ამოტვიფრული წარწერებია. როგორც გიდმა აგვიხსნა, მდიდარი მლოცველების მიერ ჩასმული მოსახსენებელი ლოცვებია. „გებრების ტაძარს“ პირველად 1713 წელს გაუკეთდა რესტავრაცია, ხოლო 1969 წელს ჯავაჰარლალ ნერუს თხოვნით აღადგინეს და თვალსაჩინოების მიზნით მუზეუმი შექმნეს. მოედნის ცენტრში ღია ოთხთაღოვან გადახურვის შიგნით წმინდა ცეცხლი ანთია. მას გარს უნდა შემოუარო და სურვილები აგისრულდებაო. ცენტრალური ცეცხლის გვერდით, დაბალ ადგილას კი ქვით შემოფარგლული მრგვალი ნაშენია, რომელშიც ასევე ანთია მუდმივი ცეცხლი. მასზე გარდაცვლილ მლოცველებს წვავდნენ. საუკუნეების განმავლობაში ინდოეთიდან უსასრულო გზაზე მოდიოდნენ ქარავნები, რომლებსაც მოჰყავდათ ზოროასტრიზმის მიმდევრები, რათა ამ წმინდა ადგილზე მათ თავისი სიცოცხლე დაემთავრებინათ და აღსრულებულიყვნენ. ზოგიერთი მათგანი აქ წლობით ცხოვრობდა, ლოცულობდა და იწმინდებოდა. მათი ცხოვრების ამსახველი მულიაჟები ახლა უძველეს კელიებში დგას. როგორც აგვიხსნეს, აქ ადრე მუსულმანებს და ქრისტიანებს შემოსვლის უფლება არ ჰქონდათ. ზოგიერთი ევროპელი მოგზაურის გარდა, „გებრების ტაძრის“ მონახულებას დიდად არ ელტვოდნენ, რადგან ეს ადგილი მათ შიშის ზარს სცემდა და მრავალი ცრურწმენის წყაროდ იყო ცნობილი.

**მანანა იაშვილი**

გაგრძელება იქნება

# იუმორის გვერდი — წუთშესვენება

## ჩვენი სტუმარია კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობი

# ავთო მიქაძე

არც რა მიშველა ცირილმა,
არცა ცრემლთმის ღენამა,
მიშველა ისევ სიცილმა,
ლაქარდიანმა ენამა





### პური და ყვავილის ქოთანი

გახსოვთ, ალბათ, პურის გაჭირვება რომ იყო ქალაქში. დილაუთენია ვდგებოდით რიგში, საათობით ვათენ-ვაღამებდით და გახარებულებს მიგვქონდა ხოლმე ოჯახში „პური ჩვენი არსობისა".

ერთ სისხამ დილით მეც ვდგევარ გრძელ რიგში და ველოდები ჩემს კუთვნილ პურს. უცბად, ჩემს წინ დავარდა უზარმაზარი მიწით სავსე ყვავილის ქოთანი. ამცდა მილიმეტრებში, ცოტა ადრე რომ გადამედგა ნაბიჯი, ეს უმშვენიერესი თიხის ქოთანი თავისი სურნელოვანი ყვავილით დამეცემოდა თავში და დასრულდებოდა ჩემთვის ყველაფერი.

ქოთნის მიწაზე დაცემა და ქალის კივილი ერთი იყო. ავიხედე ზევით და დავინახე მეოთხე სართულზე გადმომდგარი ქალი, რომელიც დიდი ხმით კიოდა. თურმე მინების წმენდისას შემთხვევით ხელი გაუკვრია და გადმოუგდია ეს ხსენებული ქოთანი.

ჩემს ახლოს პურის რიგში მდგარა ამ ქალის ქმარი და რომ დაინახა ეს ამბავი, მოვარდა ჩემთან, ხომ არაფერი იტკინეთ და რამე ხომ არ დაგიშავდათო. ერთი სიტყვით შეწუხებული იყო და ბოდიშებს მიხდიდა.

მე დავამშვიდე, არაფერია საგანგაშო-მეთქი, მაგრამ ეს კაცი არაფრით არ მომეშვა-ახლავე უნდა ამოხვიდეთ ჩემთან სახლში და თქვენი და ჩემი გადარჩენა უნდა აღვნიშნოთო.

ვიუარე, არ შემიძლია, მეჩქარება-მეთქი, მაგრამ ვინ გისმინა? მოკლედ, ავედით სახლში, ცოლმაც უამრავი ბოდიშები მიხადა, მერე სუფრა გაგვიწყო და ჩვენც კარგად „დავასველეთ" ჩვენი გადარჩენა. ამის შემდეგ რამდენჯერაც ეს კაცი დამინახავდა, პურზე მისულს, იმდენი სახლში ავყავდი, იშლებოდა სუფრა და თვლა არ ჰქონდა მერამდენედ ისმებოდა გადარჩენის სადღეგრძელო.

ასე გაგრძელდა კარგა ხანს. მეათეჯერაც რომ ამიყვანა მასპინძელმა და კარგად შევქეიფიანდით, სამზარეულოდან მესმის მისი ცოლის დუდღუნი: – ან მე რატომ გამივარდა ეს ქოთანი, ან არა და თუ გამივარდა, თავში რატომ არ მოხვდა, ხომ გადავერჩებოდი ამდენ სტუმრიანობას.

### ზეიმი კახეთში

შემოდგომა იყო. სპექტაკლიდან სახლში დავბრუნდი დაღლილი. ამ დროს ტელეფონის ხმა გაისმა. ზურა მირეკავდა,ქაფიანიძე.

– ავთო, ხვალ გურჯაანში ტარდება შრომის დღესასწაული და მე და შენ მიწვეულები ვართო.

– კაი ბატონო, წავიდეთ-მეთქი, შევთანხმდით მეორე დღისთვის.

მე დილაადრიან გავუარე ზურას და გავემგზავრეთ კახეთისკენ. საშინელ „პახმელიაზე" ვარ. ის იყო გავცდით მანავს, რომ მანქანა გავაჩერე.

– რაშია საქმეო? – მკითხა ზურამ.

– პირი მიშრება, წყალი თუ არ დავლიე,ცუდადაა ჩემი საქმე-მეთქი.

– არ ქნა მაგიო, არ მოითხოვო, თორემ წყლის მაგივრად ღვინოს დაგალევინებენ და დავილუპებით, ზეიმზე ვერ ჩავასწრებთო.

– კარგი ახლა,ნუ გადამრევ, ღვინო რა შუაშია, წყალი მწყურია,„პახმელიაზე" ვარ-მეთქი.

– რადგან არ იშლი, სადაც ყველაზე პატარა სახლი ნახო გაჭირვებული კაცის,იქ გააჩერეო,- მითხრა ზურამ.

მეც დავუჯერე. ერთ პატარა სახლთან გავაჩერე მანქანა. ეზოს გვიდა შავებში ჩაცმული ასაკოვანი ქალი. გადავყავი თავი მანქანიდან: – დედი, თუ შეიძლება წყალი დამალევინეთ-მეთქი. – ახლავე შეილოო, მითხრა და წავიდა.

გავიდა ერთი წუთი, ორი, სამი, ხუთი, არ ჩანს ქალი. ზურა მეუბნება, წადი, ნულარ დაუცდი, აღარ მოვაო.

– რას ჰქვია, ნუ დაუცდი, ხომ გეუბნები, წყურვილისაგან ვკვდები, აქედან არ წავალ, სანამ წყალს არ დავლევ-მეთქი, – გავჯიუტდი მეც.

ამ ლაპარაკში გავიხედეთ და რას ვხედავთ? მანქანას მოადგა მაღალი, ჩასხმული, სიმპათიური მამაკაცი (ამ ქალის ქმარი, როგორც შემდეგ შევიტყვეთ) და კახურ კილოზე გვეკითხება: – ჩემ ოჯახშია წყალი ვინ მაიკითხა? რა შაურაწყობას მაყენებთ, ჰა?

ამ სიტყვებზე ზურას აუტყდა სიცილი. მისი სიცილი კი, მოგეხსენებათ, რა „ძალებთან იქნებოდა დაკავშირებული". იცინის ზურა და ირწევა ჩემი მანქანაც.

– ხომ გითხარი, წყალი არ მოითხოვო-მეთქი, ახლა იცოდე, ორივენი დალუპულები ვართო! – მითხრა მან.

– ეს ვილა თახთახებს ამ მანქანაშია? – იკითხა მამაკაცმა.

– ეს ძიაკაცი ზურაა, ქაფიანიძე-მეთქი.

– ვახ, შენ გენაცვალე ბიჭოო, თქვა მასპინძელმა და ჩაგვიყვანა სახლში. ჩაგვიყვანა და ოთხი დღე სუფრიდან არ ავმდგარვართ. ამ ჩვენს მასპინძელთან ხომ „ჩავსხედით", მაგრამ მეზობლებიც კარგად მოვიარეთ.

ზურას სიტყვები, რა თქმა უნდა, გამართლდა, ზეიმზე ვერ ჩავედით, სამაგიეროდ დაუვიწყარი დრო გავატარეთ კახეთში.

### მუნჯი მეგობარი

ერთხელ მირეკავს ზურა ქაფიანიძე. ახალი გამოსული ვარ აბაზანიდან და მეპატიჟება სახლში ნარდის სათამაშოდ. არა და ზამთარია, ყინავს, საშინელი ამინდია გარეთ.

– რა დროს ნარდია, ვერ ხედავ, რა სიცივეა-მეთქი.

– ჩემთვის რომ გეთხოვა, მე ხომ მოვიდოდიო! – სინდისზე ამაგდო ზურამ.

– კარგი, მოვალ-მეთქი, დავპირდი. ავიღე თბილი ქუდი, ქურთუკი და წავედი ჩემი მანქანით.

სახლთან დგას ზურა და მელოდება. მსახიობები ჩამოვიდნენ ლვოვიდან, ჩემი მეგობრები არიან... ახლახანს მოვრჩით გადაღებას, რესტორანში სხედან და ჩვენ გველოდებიანო. თურმე ნარდის თამაში კი არა, ქეიფი უნდა ჩემს მეგობარს. რაღას ვიზამდი, წავყევი. ნარდის მაგივრად ჭიქების „თამაში" დავიწყეთ და სულ მალე კარგ მდგომარეობაშიც აღმოვჩნდით. იმ საღამოს კარგად მოვილხინეთ და დილის ოთხ საათზე დავიშალეთ. მსახიობები სასტუმროში წავიყვანეთ. ზურა სახლში მივიყვანე, მაგრამ არაფრით არ გადავიდა მანქანიდან. ახლა შენ მთვრალი ხარ, გაგაჩერებენ და მერე მე უნდა ვირტყა თავში ხელიო, ამიტომ მიგყვები და მერე ტაქსით მე გავალ სახლშიო.

ვეხვეწე უამრავი, მთვრალმა სად უნდა იარო, ცივა, მანქანებიც აღარ დადის ქალაქში, მე წამომყევი-მეთქი, მაგრამ არაფერმა გაჭრა. მივედი ჩემს სახლთან, ჩამოვიდა ზურა და გადავიდა მეორე მხარეს, აჩერებს მანქანას. მე შევედი ეზოში, დავარტყი წრე, ჩავიცვი ქურთუკი, დავიხურე ქუდი, ავანთე ფარები და წავედი ზურასკენ.

ზურამ ხელი ამიწია და მეც გავუჩერე მანქანა. გლდანში წავედითო. ახლა მე ვფიქრობ, რა უნდა გლდანში, როცა დიღომში ცხოვრობს, მაგრამ რომ შევეკითხო, ხმაზე მიცნობს და აღარ წამომყვება, ისევ გაჩუმება ვარჩიე და დავადექი გლდანის გზას.

დამიწყო ზურამ ლაპარაკი: – ჩვენი ქართული ანბანი, შუმერები... ქართული მზე... ერთი სიტყვით, ზურა ექსტაზშია. მომიბრუნდა და მეკითხება. ვიცი, რომ ვუპასუხო, ჩავიჭრები, ამიტომ გავითამაშე, ვითომ მუნჯი ვარ და შეკითხვაზე ასე ვუპასუხე: – აჯიქბჯთქ!

– წადი, შენი ყრუ-მუნჯი დედაო, – და შებრუნდა ზურა.

გზა გავაგრძელეთ. მეუბნება, მარჯვნივ, მივდივარ მარჯვნივ, მეუბნება მარცხნივ, ვუხვევ მარცხნივ. შევედით გლდანში. ზურას დაავიწყდა ჩემი „მუნჯობა" და ისევ აეშალა ლაპარაკის საღერღელი. ისევ – ქართული მზე... შუმერები... ჩვენი ანბანი და ისევ მიბრუნდება კითხვით.

– აჯბქნთქნ – ვუპასუხე ისევ მე.

– წადი შენი... რა ბედი მაქვს, მაინცდამაინც მე უნდა შემხვედროდა ეს ყრუ-მუნჯი და მომიძღვნა მამაპაპეული კურთხევა.

საბოლოოდ მივედით გლდანში. ზურა გადავიდა, დაუძახა ვიღაც მეგობარს, იმანაც აივნიდან გადმოხედა და სახლში შეიპატიჟა.

ზურა მანქანიდან გადადის და მეც მუნჯურად ვეუბნები: – სა მიდიხ კაც, ფუი, ფუი, ბატნ, ფუი!

– ფული არა ისო, ხელი ამიქნია ზურამ. მოიცა, მოიცა, შენ თუ ყრუ-მუნჯი ხარ, შეჩემა, რომ გეუბნებოდი გლდანიო, მარჯვნივ -მარცხნივო, რაფერ ხვდებოდი, შენ ვის აშაყირებ, შენიო, აილო თავის ორფუთიანი მკლავი და უნდა დამარტყას.

– ე, ბიჭო, არ დამარტყა, ავთო ვარ-მეთქი, მოვიხადე ქუდი, გავიხადე ქურთუკი და რომ დამინახა, ქაფიანიძე ისეთი ჰომერული სიცილით ახარხარდა, რომ დილის ექვს საათზე მთელ კორპუსში შუქები აინთო და ხალხი გამოეფინა მის როხროხზე.

მე „წკიპზე" გადავრჩი დანაყვას, ზურას კი სურვილი შევუსრულე.



# იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

## ბინები

იყიდება სასწრაფოდ ვაკეში, საცურაო აუზთან 10 ოთახიანი 500 კვმ ფართის დამთავრების სტადიაში მყოფი ბინა მე-3 სართულზე. 4 სველი წერტილით, 2 ავტოფარეხით I სართულზე. ფასი 100000 დოლარი. ტელ. 29-18-57

იყიდება 2 ოთახიანი, არასტანდარტული სარემონტო ბინა მე-2 სართულზე დიდი მიშენებით. მიშენების კედლები ამოყვანილია. საერთო ფართი 100 კვმ, ბინას აქვს რკინის კარი, გისოსები, ტელეფონი. ვაჟაფშაველას II კვ. ფასი შეთანხმებით. ტელ. 93-57-84; 23-53-89

იყიდება ან იცვლება საბაღე ნაკვეთი სახლით. ფართი 700 კვმ სახლი 7X6, ფასი 3000 დოლარი ტელ. 62-06-86

იყიდება მშენებარე სახლი, ფართი 600 კვმ, კახეთის გზატკეცილი, ზემო ავჭალა. ფასი შეთანხმებით. ტელ. 62-06-86; 62-38-48

იყიდება 4 ოთახიანი ბინა საბურთალოს ცენტრში, საერთო ფართი 220 კვმ, რემონტით, დიდი სარდაფით, მანქანის სადგომით, ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 37-77-50

იყიდება 2 ოთახიანი ბინა ლოჯიით, ტელეფონით. აბაზანა და სამზარეულო კაფელში, რკინის კარებით, ქუჩის მხარეს პატარა აივანი, 8 სართულიანი სახლის მე-8 სართულზე. მის. გურამიშვილის გამზირი 12 (ა), I სად. ბინა 22. ფასი 11000 დოლარი. ტელ. 61-71-46 ნანა, ნუგზარი.

იყიდება 7 ოთახიანი არასტანდარტული ბინა კოსტავას ქუჩაზე, ავტოფარეხით და სარდაფით. საერთო ფართი 200 კვმ, ფასი 120000 დოლარი. ტელ. 38-01-11

იყიდება 2 ოთახიანი კერძო ბინა 100 კვმ ხეხილიანი ბაღით, სარდაფით, მარნით, კაპიტალური გარაჟით. ფასი 40000 დოლარი. ტელ. 38-01-11

იყიდება ქალაქის ცენტრში გოგოლიძის ქ.№1 2 სართულიანი სახლი II სართულზე ორი ოთახი ყველა სათავსოთი, გარემონტებული. I-ზე ორი ოთახი ყველა სათავსოთი, სარემონტო. ფასი შეთანხმებით. ტელ. 96-67-03; 99-75-74

იყიდება ოთახნახევრიანი სარემონტო ბინა ბახტრიონის ქუჩაზე. საერთო ფართი 45 კვმ, საწყისი ფასი 12000 დოლარი. ტელ. 38-01-11

იყიდება 8 ოთახიანი არასტანდარტული ბინა ვაკეში, ბარნოვის ქუჩაზე. საერთო ფართი 240 კვმ, 200 კვმ მიწის ნაკვეთით. ფასი 220000 დოლარი. ტელ. 38-01-11

იყიდება მიწის ნაკვეთი 800 კვმ საირმის გორაზე. ტელ. 38-36-47

იყიდება 3 ოთახიანი მოსკოვის პროექტის ბინა თემქის დასახლების III მრ-ში 9 სართულიანის მე-7 სართულზე, ტელეფონით, სარდაფით, მანქანის გასაჩერებელი ადგილით. ფასი 6000 დოლარი. ტელ. 96-69-75

იყიდება 2 ოთახიანი თანამედროვე სტილში გარემონტებული ბინა I სართულზე ოფისისათვის. აღმაშენებლის გამზირზე, სასომხეთის საელჩოსთან. აქვს ტელეფონი და ყველა სველი წერტილი. ფასი 17000 დოლარი ტელ. 96-69-75

იყიდება 3 ოთახიანი, მაღალჭერიანი, არასტანდარტული ბინა 5 სართულიანი სახლის მე-4 სართულზე. საერთო ფართი 130 კვმ, სარემონტო. მის. თამარაშვილის 10. ფასი 40000 დოლარი. ტელ. 39-26-34

ვეძებ ერთოთახიან ბინას ქირით, ტელეფონით, სასურველია ქალაქის ცენტრალურ რაიონებში. დაახლოებით 100$-ის ფარგლებში. ტელ. 38-60-56

იყიდება თავისუფლების მოედანთან არასტანდარტული 4 ოთახიანი იზოლირებული სუფთა ბინა. საერთო ფართი 152 კვმ, საცხოვრებელი ფართი 95 კვმ. ფასი შეთანხმებით. ტელ. 93-36-48

იყიდება კერძო კაპიტალური სახლი მეტრო „სამას არაგველთან", ოთხი ოთახი ყველა სათავსოებით, ორი სარდაფით. საერთო ფართი 130 კვმ, გარემონტებულია. ეზო პატარა. ფასი 37000 დოლარი. ტელ. 74-50-97

იყიდება 2 ოთახიანი მაღალჭერიანი გარემონტებული ბინა წერეთლის გამზირზე №39, იტალიური ეზოს II სართულზე ტელეფონით. ფასი 14000 დოლარი. ტელ. 96-69-75.

იყიდება პრივატიზებული კაპიტალური სახლი 1200 კვმ ბაღით, თეთრიწყაროს რაიონში, ასურეთის საგარაკო სამეურნეო ტერიტორიაზე, 1 სართულზე დარბაზი, სამზარეულო, საკუჭნაო, ბუხარი. II სართულზე - ორი ოთახი შუშაბანდით და 10 კვმ ღია აივნით, III (მანსარდში) - ერთი ოთახი შუშაბანდით. გაყვანილია ელექტრობა და სარწყავი სისტემა. ფასი 7800 ლარი ან შეიძლება გაცვლა თბილისში ორ ან ერთოთახიან ბინაზე. ტელ. 30-34-96 (დილას ან საღამოს).

იყიდება არასტანდარტული, პრივატიზებული ბინა აბანოთუბანში იტალიურ ეზოში, საერთო ფართით 55 კვმ. პირველ სართულზე. აქვს სარდაფი, მანქანის დასაყენებელი ადგილი. სამზარეულო და სველი წერტილი საკუთარია. საწყისი ფასი 10000$ მისამართი: გორგასლის №21 იკითხეთ ლელა ან ბელა

მეტრო „სამგორთან" იყიდება კერძო ბინა, საცხოვრებელი ფართი 52 კვმ, დიდი ეზოთი, საორიენტაციო ფასი 13000$ ტელ. 74-59-95 მერი

იყიდება კერძო სახლი, ორსართულიანი, 9 ოთახით, ვაკეში. საერთო ფართი 215 კვმ, ეზოს ფართი 1500 კვმ. ფასი შეთანხმებით. ტელ. 29-21-75

იყიდება ტიპური 2 ოთახიანი ბინა ლოჯიით, ტელეფონით, 8 სართულიანის მე-8 სართულზე. რკინის კარებით, ქუჩის მხარეს პატარა აივანი სათავსოთი. ფასი 11000 დოლარი. ტელ. 61-71-46 ნანა

## ვასწავლი

საესტრადო სიმღერებისა და ფორტეპიანოზე სმენით დაკვრის სასწავლებლად ვიწვევთ ყველა ასაკის მსურველს. გამორჩეულთათვის სპეციალურად დაიწერება ახალი სიმღერები. ტელ. 22-03-48 მარინა

3 თვეში შეგასწავლით სალაპარაკო ინგლისურ ენას. ლინგოფონური მეთოდით შეღავათიან ფასში. აკად.ბ.გუგუშვილის სახ.საქართველოს ტექნიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტი. პუშკინის ქ.№5 V სართ. ტელ. 99-60-20 (14-18 სთ)

## ქირავდება

ქირავდება 4 ოთახიანი გარემონტებული ბინა კარგი ავეჯით და თანამედროვე დიზაინით მრგვალ ბაღთან. ფასი 600 დოლარი. ტელ. 38-01-11

## სხვადასხვა

ვარ 45 წლის ქალი. მყავს 20 წლის ქალიშვილი. ძალიან გვიყვარს ბავშვები. ჰიგიენურად ოჯახი დაცულია. მოვუვლით 1 ან 2 ბავშვს. ტელ. 35-07-59

ვარ 37 წლის ჯანმრთელი მამაკაცი, კარგი მძღოლი, მაქვს საერთაშორისო წიგნაკი. ვეძებ მძღოლის სამსახურს კარგი ანაზღაურებით. მოვემსახურები ოჯახს, დაწესებულებას. ტელ. 34-83-10 (საღამოს 10 საათიდან)

იყიდება გარმონი, ლევუშკინის გაკეთებული, 100 წლის. ფასი შეთანხმებით. ტელ. 78-26-69

იყიდება ავეჯის ვიტრინა. ფასი 100 ლარი. იყიდება ახალი ელექტროგიტარა „იოლანა", ფასი 100 ლარი. იყიდება კოსმეტიკური ფილები. ფასი 20 ლარი. ტელ. 72-40-57

შევიძენ ვულკანიზაციის სამქროს. ტელ. 63-36-13

იყიდება ახალი ირანული სამზარეულო, საძინებელი და სამეული, იაფად. ტელ. 63-36-13

მოვუვლი ნებისმიერი ასაკის ბავშვს ჩემთან ბინაზე მოყვანით ვარ უმაღლესი პედაგოგიური განათლებით. ვცხოვრობ მეტროსთან ახლოს. ტელ. 73-02-74 ნანა

იყიდება საწოლნახევრიანი ხის ლამაზი საწოლი, მასიური. ტელ. 93-36-48

# ჰოროსკოპი

## 1-2 მაისი

ვერძი - დრო გექნებათ მომავალ გეგმებზე დაფიქრდეთ.

ხარი - მოგზაურობაში სიხარული გელით.

ტყუპები - ჩაუფიქრდით თქვენს ცხოვრებას, იქნებ დროა დასერიოზულდეთ.

კიბო - იმოგზაურეთ და გაიხარებთ.

ლომი - მიხედეთ ჯანმრთელობას.

ქალწული - კარგი იქნება ქალაქგარეთ გაისეირნოთ, სახლში კი შენაძენი გექნებათ.

სასწორი - მიხედეთ ჯანმრთელობას.

მორიელი - მოგზაურობა სიხარულს მოგიტანთ.

მშვილდოსანი - სიხარული გელით, რომელიც გაგაოცებთ.

თხის რქა - საქმიანი საუბრები ახალ შემოქმედებით პერსპექტივებს გადაგიშლით.

მერწყული - მიხედეთ ჯანმრთელობას, დაფიქრდით მომავალზე.

თევზები - მოგზაურობა ბედნიერებას მოგიტანთ.

საერთაშორისო კომპანიას, რომელიც ემსახურება ბიზნესსა და მარკეტინგს, ესაჭიროება სერიოზული და ენერგიული ადამიანები. ტელ. 68-25-01 ნინო

მე მაწუხებდა დაბალი წნევა, ძლიერი თავის ტკივილები, ქრონიკული დაღლილობა, ჩხვლეტები გულის არეში, მარილები, ნაღვლის ბუშტის ანთება, სახსრების ტკივილი. აქ ჩამოთვლილი ჩივილები საერთოდ გამიქრა, წონაშიც დავიკელი 8 კგ. როგორ მოვახერხე? დამირეკეთ ტელ. 68-25-01 ნინო

## ბიზნესმენების საყურადღებოდ!

გთავაზობთ სპეცტექნიკას ინფორმაციის დასაცავად და კავშირგაბმულობის საშუალებებს: ტელეფონის ხაზების, გამოთვლითი ტექნიკის და ოთახების დაცვა ინფორმაციის გაჟონვისაგან; არასანქციონირებული მოსასმენი და ჩამწერი მოწყობილობების დადგენა-აღმოჩენის სისტემებს; ლითონდეტექტორებს; დიქტოფონებს; ფოტოაპარატებს; ღამისმხედველობის ხელსაწყოებს; დურბინდებს; სატელევიზიო დაკვირვების სისტემებს; კონტროლის და დაშვების სისტემებს: თითის ანაბეჭდით და მაგნიტური ბარათებით; დაცვისა და სახანძრო სიგნალიზაციას; ჯავშანჟილეტებს; მოკლეტალღიან და ულტრამოკლეტალღიან რადიოსადგურების; რადიოტელეფონებს; მინი სატელეფონო სადგურებს და ტელეფონების აპარატებს; ვიდეო და აუდიო დომოფონებს; კოდირებულ ელექტროსაკეტებს.

საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს კომპიუტერული ცენტრი.

**საკონტაქტო ტელეფონები: 98-26-27; 98-23-62**

## კომპიუტერზე მუშაობის შესწავლის მსურველთა საყურადღებოდ!



**განათლების სამინისტროს თბილისის ინფორმატიკის სასწავლო ცენტრი «მზიური» გიწვევთ პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ კურსებზე**

თქვენ შეისწავლით MS Office პაკეტის გამოყენებას თანამედროვე ოფისში

- თანამედროვე პერსონალური კომპიუტერები და კვალიფიციური პედაგოგები
- საერთაშორისო სტანდარტის სასწავლო პროგრამები და მეთოდიკა
- ინტერნეტის საუკეთესო სერვისი World Wide Web
- სერთიფიკატი, რომელიც გზას გაგიხსნით პრესტიჟული სამსახურისაკენ

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის I ჩიხი, №37 („მზიურის" ტერიტორიაზე, ჩოგბურთის კორტებთან)

☎ 29-48-61, 23-53-17, 29-48-60 ფაქსი: 29-49-61

## ვაქვეყნებთ უფასო განცხადებებს დაგვირეკეთ ყოველდღე: 93-18-41

# საქართველოში ყველაზე მცირერიცხოვანი ქართული გვარები

*ფრჩხილებში მითითებულია ის სამი პუნქტი, სადაც ძირითადად ცხოვრობენ აღნიშნული გვარის წარმომადგენლები*

## ჟ

ჟალაძე - 35 (საჩხერე - 25; თბილისი - 7; ქუთაისი - 1);

ჟამიაშვილი - 46 (დედოფლისწყარო - 14; თელავი - 13; დუშეთი - 9);

ჟვიტიაშვილი - 31 (თბილისი - 2; ქუთაისი - 29);

ჟოლიძე - 43 (ჭიათურა - 35; თბილისი - 4; ხარაგაული - 2);

ჟოჟიკაიშვილი - 30 (თბილისი - 3; ლანჩხუთი - 27);

ჟუნანაშვილი - 26 (ყვარელი - 26);

ჟუჟიაშვილი - 43 (თბილისი - 31; გარდაბანი - 11; რუსთავი - 1).

## რ

რაინდაშვილი - 27 (გურჯაანი - 18; თბილისი - 5; დედოფლისწყარო - 1);

რამინიშვილი - 45 (თბილისი - 32; სამტრედია - 4; აბაშა - 2);

რატიაშვილი - 49 (თბილისი - 29; ამბროლაური - 8; დედოფლისწყარო - 3);

რეკემაძე - 26 (ბათუმი - 1; ხელვაჩაური - 25);

რეჭია - 32 (სენაკი - 15; ქუთაისი - 12; ზუგდიდი - 4);

რთველიშვილი - 42 (თბილისი - 33; გურჯაანი - 4; გორი - 1);

რიბაშვილი - 22 (თბილისი - 22);

რიკრიკაძე - 39 (თბილისი - 17; გორი - 9; სამტრედია - 2);

რიმნისთაველი - 27 (თბილისი - 9; ქუთაისი - 9; რუსთავი - 4);

რინკიაშვილი - 28 (თელავი - 27; რუსთავი - 1);

რიონიძე - 40 (ქობულეთი - 18; ბათუმი - 13; ლანჩხუთი - 5);

რობანიშვილი - 26 (გორი - 11; თბილისი - 7; ქარელი - 6);

როინაშვილი - 40 (ქარელი - 20; თბილისი - 11; რუსთავი - 3);

როკაშვილი - 39 (თიანეთი - 14; თბილისი - 10; სიღნაღი - 15);

რომანაშვილი - 29 (ფოთი - 15; თბილისი - 2; ქობულეთი - 2);

როსტომაული - 22 (თბილისი - 11; გარდაბანი - 1; რუსთავი - 1);

რუსულაშვილი - 44 (თელავი - 34; ახმეტა - 6; თბილისი - 3);

რუხვაძე - 43 (ბაღდათი - 10; თბილისი - 8; ზესტაფონი - 4);

რუხია - 21 (თბილისი - 14; სენაკი - 2; მარნეული - 1);

რუხიაშვილი - 33 (დუშეთი - 11; თბილისი - 11; გარდაბანი - 2).

# მოსკოვი – მკვლელობათა დედაქალაქი

პირველი გვერდიდან

დაც აქცია. დემოკრატიაზე გადასვლამ და კომუნისტურ სტრუქტურათა ნგრევამ ასიათასობით ადამიანი გაჭირვებაში ჩააგდო. ოფიციალური ცნობით, ქვეყანაში 100.000 უსახლკაროა. ამასობაში კი მცირერიცხოვანმა პრივილეგირებულმა ფენამ მილიონები იშოვა. ყოველგან მსუფევი მაფია პოლიციის, სამხედროს, მმართველობის, იუსტიციისა და პოლიციის მაღალ ეშელონებშიცაა გასული. როგორც ორგანიზებულ დანაშაულთა წინააღმდეგ მებრძოლი სპეცდანიშნულების რაზმის მეთაური, სერგეი სიდორენკო აღნიშნავს, მოსკოვში მოქმედებს დამნაშავეთა 8.000 ბანდა.

ძლიერი „კლანები" და „საძმოები" დიდძალ ფულს აკეთებენ: ბანკთა 40%-ს და დიდ საწარმოთა ნახევარზე მეტს ისინი აკონტროლებენ. რვა სინდიკატის ხელშია დაწესებულებები კრემლის შემოგარენში, სადაც „წვრილ კრიმინალთ" ხელი არ მიუწვდებათ. წვრილმანი თაღლითის სიცოცხლე, რომელიც ამ არეალში ცდილობს იყაჩაღოს, ისეთივე გარდაუვალი საფრთხის წინაშეა, როგორც იმ ინვესტორის, რომელიც არ ცნობს კლანის თამაშის წესებს.

ძველი და ახალი ნომენკლატურის წარმომადგენლები მოლაპარაკებულნი არიან ორგანიზებული დანაშაულის ბოსებთან შემოსავლიანი შრომის განაწილებაზე. უმრავლესობა რუსი ბოსებისა ერთმანეთს ძვირადღირებულ სასტუმრო „მოსკვა"-ში ხვდებიან, რომელიც ძალიან ახლოა პრეზიდენტის რეზიდენციასთან. „შავები", როგორც კავკასიელებს უწოდებენ მოსკოვში, შედარებით იაფფასიან „ბიზნესს" ეწევიან: „ესპანური ბარი" და სასტუმრო „უკრაინა", რომელიც ერთ დროს კომუნისტური პარტიის ფუნქციონერთათვის პირველი კლასის სადგომს წარმოადგენდა და ამჟამად ნარკოტიკებით ვაჭრობის, ორგანიზებული პროსტიტუციისა და პროფესიონალური ქურდების მძარცველობის ცენტრებად ითვლება.

ქართული, სომხური, ჩეჩნური, დაღესტნური და აზერბაიჯანული ბანდები თავიანთი ეროვნული კერძების რესტორნებში იყოფენ უკანონოდ მოპოვებულ ფულს და აგვარებენ საქმეებს. წითელი მოედნიდან 5 წუთის სავალზე დაშორებული „ქართული რესტორანი" მოქიშპე ბანდათა შორის პაემანის ადგილად ითვლება. ბნელ, პანელით მოპირკეთებულ ოთახში არჩევენ საქმეს გავლენის სფეროთა შესახებ.

მაფიის რიტუალთა აპოგეისათვის არავითარი წესები არ არსებობს. დაშვებულია მოწინააღმდეგის მოკვლა, დაზიანება ჩვეულებრივი რევოლვერით დაწყებული ბომბით დამთავრებული. ბანდათა შორის შუღლის ურთიერთანგარიშსწორების ადგილი, რომელიც დიდ მსხვერპლს მოითხოვს, აღარ არის ქალაქის ცენტრალური ქუჩები, არამედ უკაცრიელი რკინიგზის სადგურები ან დაუსახლებელი ტერიტორიებია, სამხედროთა სავარჯიშო მოედნების პირას. ამის შემდეგ მკვდრებს ერთად აგროვებენ და კრძალავენ. „უეცარი ინფარქტი" – ესაა სიკვდილის ოფიციალური მიზეზი.

ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, მოსკოვს მსოფლიოს დიდ ქალაქებს შორის ორგანიზებული დანაშაულის მხრივ საშუალო ადგილი უკავია. დანაშაულის რაოდენობა, ქალაქის მმართველობის წყალობით, უმნიშვნელოა. ხელფეხშეკრულ მიცვალებულს კი, რომელსაც ნაჩხვლეტი და დარტყმითი იარებით აქვს სხეული დაფარული, ასაღებენ როგორც „უბედური შემთხვევის" ან „თვითმკვლელობის" მსხვერპლს. ამასთან, უკვალოდ გამქრალნი არ ითვლებიან. შინაგან საქმეთა სამინისტროს „არაოფიციალური" ცნობით, მოსკოვი ორგანიზებული დანაშაულის მსოფლიო დედაქალაქად გარდაიქმნა, სადაც ყველაზე მეტ ადამიანს კლავენ.

ქალაქის რეპუტაცია რომ არ შეირყეს და უცხოურ ინვესტიციებს ხელი არ შეუშალოს, ამისთვის ძლიერ ზრუნავენ. რამოდენიმე წლის წინ მოკლულ მსხვერპლს შუა ქუჩაში ტოვებდნენ. მას შემდეგ, რაც საქონელბრუნვა და მოგების შანსი გაიზარდა, მაფიის სამარკო ნიშნად უკვალოდ დაკარგვა იქცა. მხოლოდ გახმაურებული მკვლელობებია ცნობილი. მათ სისასტიკეს 60 უძლიერესი ფინანსთა მენეჯერი შეეწირა. მათ შორის ივან კაველიდი, ოლეგ კანტორი, იური პოლივანიო, ვადიმ ჯაფიასო და ანდრეი ორეხოვი, რომელთაც მოსკოვის წამყვან ბანკებს სახელი გაუთქვეს. მოსკოვში მოქმედ ფულის ინსტიტუტთა 40%-ს მაფია აკონტროლებს. დანარჩენი 20% კი ჩრდილოვან სტრუქტურებშია დაბანდებული.

1996 წლის თებერვალში ლენინის ორდენოსანი, რუსული სამხედრო ტექნიკის განვითარების ინჟინერი, ვალენტინ სმირნოვი მოკლეს, მას შემდეგ, რაც უარი განაცხადა ერთ-ერთი საექსპორტო საქმის შემოსავალი მაფიისთვის გაეყო. ნიკოლაი ბრიჩიკოვმა, გაერთიანება „მეტალქიმიის" ვიცე-პრეზიდენტმა, რომელსაც რუსეთის სამხედრო შეიარაღების 140 ქარხანა ეკუთვნოდა, იგივე ბედი გაიზიარა ერთი წლით ადრე. გამოჩენილ მსხვერპლთა შორის აღსანიშნავია: ანატოლი ივანოვი, ძრავების ქარხნის დირექტორი, სადაც „მიგ-23"-ის ამძრავი მექანიზმი დაამზადეს; ვლადიმირ ტურუსინი, მეტალო-ქიმიურ საწარმო „მაიაკის" დირექტორი. ორივე ცდილობდა საზღვარგარეთთან საქმე მაფიის გვერდის ავლით დაეჭირა.

ბანდები გამოჩენილ სახელებსაც არ ერიდებიან. ორი წლის განმავლობაში დუმის დეპუტატი სერგეი სკოტოცკი, თავდასხმათა შიშით, თითქმის ყოველდღე იცვლიდა ბინას. შემდეგ არყის ქარხნის მფლობელი ერთ-ერთი მაფიის მეთაურის ხაფანგში მოხვდა. ის გაიტაცეს, აწამეს და მოკლეს. უცხოელი ინვესტორები ფულს იხდიან და დუმან ან მოსკოვს ტოვებენ მას შემდეგ, რაც ამერიკელმა ბიზნესმენმა პოლ თეთამმა მაფიასთან ბრძოლა წააგო. ძვირადღირებული სასტუმრო „სლავიანსკაიასთვის" ბრძოლაში ქალაქის თვითმმართველობამ უჩვეულო გულახდილობით დაუჭირა მხარი რუსულ მაფიას. როდესაც სასტუმროს მფლობელი, როგორც რუსეთის, ასევე სტოკჰოლმის სამედიატორო სასამართლომ გაამართლა, 11 ტყვიით დაცხრილეს „კალაშნიკოვის" ავტომატით.

განსაკუთრებით უმნიშვნელოა იმ ჟურნალისტთა სიცოცხლე, რომლებიც პოლიტიკოსთა და ორგანიზებული დამნაშავეობის ბოსთა ერთობლივ მუშაობაზე წერენ.

1995 წლის შემოდგომაზე დიმიტრი ხლოდოვი „მოსკოვსკი კომსომოლეციდან" ამტკიცებდა კოლეგათა წრეში, რომ ხელთ აქვს დამამტკიცებელი საბუთები მაფიასა და სამხედრო უწყებათა ერთობლივი მუშაობის შესახებ. თავდაცვის მინისტრი პაველ გრაჩოვი „სტატიის გამოქვეყნების შემდეგ უნდა გადამდგარიყო". რამოდენიმე დღის შემდეგ ჟურნალისტი ბომბის აფეთქების მსხვერპლი გახდა. პოლიცია იძულებული იყო „სახელმწიფოებრივი ინტერესების" გამო, რომელიც ყველაფერზე მაღლა დგას, თვალი დაეხუჭა. ფოტორეპორტიორი ფელიქს სოლოვიოვი, რომელიც გერმანულ „შტერნში" მუშაობდა, 1996 წლის დასაწყისში მოკლეს. აშკარაა, რომ ეს მაფიის ხელით მოხდა, რადგანაც მან შემთხვევით აღბეჭდა ფირზე მაფიის შეფთა და პოლიტიკოსთა შეხვედრა.

იენისში დაქირავებულმა მკვლელებმა იმსხვერპლეს რუსეთში პოპულარული ტელეჟურნალისტი ვლადისლავ ლისტიევი, მას შემდეგ, რაც მან იარაღით ვაჭრობის კვალს მიაგნო. გენერლები, რომლებიც იარაღის საწყობებს განაგებდნენ, ლისტიევმა მაშინდელი თავდაცვის მინისტრის, გრაჩოვის მეგობრებად დაასახელა.

დუმას დეპუტატმა ანდრეი აიზერცმა გაზეთში გამოაქვეყნა სტატია: „ვინ ვინ არის", სადაც მაფიის 266 მეთაურის სახელი იყო მხილებული, რის გამოც იგი მოკლეს.

თვიდან თვემდე ბანდათა შორის ქიშპობას უამრავი მსხვერპლი მოაქვს. შემდეგი გამოჩენილი პირის მკვლელობა აპრილში მოხდა. ჭიდაობაში სპორტის ოსტატს, ქართველ ოთარ კვანტრიშვილს, მოსკოვში ნარკომაფიის მეთაურს, საკუთარ აბანოში, მახლობელი სახლის სახურავიდან ოპტიკური სამიზნით ესროლეს. ამ საქმეში კვანტრიშვილის მემკვიდრეს, როგორც ცნობილია, კარგი ურთიერთობა აქვს კრემლთან და ქალაქის თვითმმართველობასთან. მისი სიმამრი ქალაქის ცენტრალური ქარხნის დირექტორია. მისი და ქალაქის მერის ბიძაშვილის მეუღლეა. თვითონ კი გენერალ სერგეი სიდორენკოს მეგობარია, რომელიც ელცინის მიერ შექმნილ ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლ სპეცდანიშნულების ჯარის ნაწილს განაგებს.

მოამზადა გ.ლომიძემ

## ჭრიხეთ, ჭრიხეთ და ტყე გვინ დაგვრჩენა –

სატყეო მეურნეობის ბოლო მონაცემებით, ტყის ფონდის ფართობი საქართველოში 2988,4 ჰექტარია. აქედან, აფხაზეთში – 508.8 ჰა, აჭარაში 188.8 ჰა. ამის შესახებ სააგენტოს კორესპონდენტს საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის სოფლის მეურნეობისა და ეკოლოგიის სტატისტიკის სამმართველოს სპეციალისტმა ნ.ჭულუხაძემ აცნობა. მისივე ინფორმაციით, საქართველოში ტყით დაფარულია 2752,3 ჰექტარი. ქვეყნის ტყიანობის პროცენტი 39.6. აფხაზეთში შესაბამისად, ეს ციფრები 476,8 ჰა და 55,4%. აჭარაში – 182,1 ჰა და 60.7%. აღდგენითი სამუშაოები ჩატარდა 13948 ჰექტარზე. ტყის მოვლით ჭრა განხორციელდა 27168 ჰექტარზე. ამ ფართობზე მოჭრილია 326504 კუბ.მეტრი მერქანი.

დღეისათვის საქართველოს გააჩნია მერქნის საკმაო მარაგი, რომელიც დაახლოებით 434 მლნ. კუბურ მეტრს შეადგენს. ტყის აღწერა 5 წელიწადში ერთხელ ხდება. (იფრინდა)

## ცოცხალნი რომ ხართ, არ გიხარიათ?..

ჰაერის დაცვის მახასიათებელი მაჩვენებლები დღეისთვის ასეთია: ქვეყნის ატმოსფერულ აუზში გამოიფრქვევა დაახლოებით 40,2 ტ. მავნე ნივთიერება, სამრეწველო საწარმოებიდან – 25,4 ტონა. ავტოტრანსპორტის მიერ ატმოსფეროში გამოფრქვეული მავნე ნივთიერებების მოცულობა: მყარი – 10.9 ტ. მზისებური და თხევადი – 14,5 ტ. აქედან გოგირდოვანი ანჰიდრიდი – 2,1 ტ. აზოტის ჟანგეულები – 4,3 ტ. ნახშირწყალბადი 500 ტ. – განაცხადა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის სოფლის მეურნეობისა და ეკოლოგიის სტატისტიკის სამმართველოს სპეციალისტმა ნ.ჭულუხიძემ. (იფრინდა)

# კაიფვორდი




**მიწოლილად:** 6. „ანას თითებზე ალებული ბეჭედი"; 8. „არა და ხან გელასი კი არის" ეს რსფსრ-ს ქალაქი; 10. ორ ზღვას შუა ძველად რა იყო ლელო? 11. „ნელის პაკრიშკიანი" ჩასაცმელი; 12. „ჰოკეიში" დასტურის შეძახილი; 13. „ილლიაში ბალამოჩრილი" ბედი; 15. ის, რაც ზოგს სულ არა აქვს და ზოგს თავზე გადმოსდის; 17. ის, რაც გორას „განგებ" ეფარება და სიცივეს ნებასა რთავს, კაცი მოკლას; 18. „ფონს გასული" განკუთვნილი მარაგი; 19. „მაიას და ინეზას" საყვარელი საწებელი; 21. ბატონი თემური და ბატონი ბადრი, რომლებიც სწორედ იმ ღამეს იწერდნენ ჯვარს; 22. „შენს" მიერ ბოძებული ტორებიანი ბისკვიტი (ნაწ.რუს.კავშ.); 24. ქურდების საწოლი, რომელიც ზონაში ნამდვილად „არი"; 26. „იგნორირებული" მეუღლე კასანდრასი; 27. ამ ფირმის სახელწოდება კი მხოლოდ „იაკებს და მაიას ეკუთვნის"; 28. რაღა ჩვენი და „რაღა" ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქი; 29. „პატარა ცხენების" ტყუილი ბაზარი (ჟარგ.); 30. „ქარიანი" სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტი; 33. „ცეცხლმოკიდებული" საზრდო, რომელსაც კანონის ძალით ახდევინებენ ცოლს გაცილებულ კაცს; 34. „ის გოეთეს" სოფელი კასპის რაიონში.

**მიყრდნობილად:** 1. ხიფათი, რომლის დროსაც „აგი ფარი" რომ გეჭიროს, მაინც თავს დაგატყდება; 2. „ბაბოს ონში" გამობერილი საბურავი; 3. „შენს" მიერ ბოძებული ორი „ნესვის" წესიერი განლაგება მათემატიკაში (რუს.კავშ.); 4. „პავლეს და თინას ტყეში" აშენებული სახელმწიფო (რუს.ნაწ.კავშ.); 5. საინფორმაციო მუსიკალური გადაცემა, როდესაც „ონს ცეცხლი უკიდია"; 7. „ჭარელების მაგიური" სიმრავლე; 9. „რომში" წასასმელი სამსახიობო სალებავები (რუს.კავშ.); 14. ძლიერი, რომელსაც „ერისთვის ლონე ერჩის" 16. ბოჭკოს ქსოვილი, რომელიც „ილონასთვის არ არის განკუთვნილი" (რუს.კავშ.); 17. გრაფი ედმონდ დანტესი; 20. „ანდრესის და ალექსის" საყვარელი ქალი; 23. „ფუძიანი" საბერძნეთის ქალაქი (რუს.კავშ.); 24. „რალში" მონაწილე მანქანის ბზარი; 25. „მოკალული" რგოლი; 30. „ქურაზე" მჯდარი ეროენების კაცი; 31. „ელეს მეორე მუსიკალურნოტიანი" ავტომატური ხელსაწყო; 32. „შენს და ანას მიერ" საწინააღმდეგო (ნაწ.რუს.კავშ.).

ნინო (ცუცა) კაჭკაჭიშვილი, ნინო გელაშვილი, თეა მუმლაძე

## ნინა ნომერში დაბეჭდილი კაიფვორდის პასუხები

**თარაზულად:** 5. ალბატროსი; 8. პაკეტი; 10. შარჟი; 11. იშემია; 13. კარილოვი; 14. სიმფეროპოლი; 16. ტრიკო; 19. კვარცი; 20. რეპორტაჟი; 22. ზეიადი; 23. რკო; 24. სირბილი; 25. ბაზა; 27. რევანში; 31. კირკოროვი; 32. ბექობი; 33. ბეჟი; 34. ავტოკალამი; 35. ტრიადა.

**ვერტიკალურად:** 1. იუპი; 2. კოკორი; 3. ტაისონი; 4. ბონიემი; 6. ბუში; 7. ტორესი; 9. ტიპოგრაფია; 12. შერეკილი; 15. იდიოტი; 17. რეპლიკა; 18. კორიდორი; 21. ჟურნალისტი; 26. აფიქსი; 28. შაკიკი; 29. ჩიორა; 30. ნაიბი.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444